ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

5 სექტემბრიდან „ალადინი“ „ახალ თაობასთან“ ერთად ფასი 1.30




პარასკევი, 5 სექტემბერი, 2014 №210 (6521) ფასი: 30 თეთრი

# „ნაციონალები „ქართული ოცნების“ წევრებს აშანტაჟებენ“



„ზოგიერთს შესაძლოა, არც უნდოდეს ეს, მაგრამ იძულებული გახდებიან. ყოფილ ხელისუფლებას თითქმის ყველაზე ჰქონდა კომპრომატები. ამ მაკომპრომეტირებელი მასალების დიდი ნაწილი ოფიციალურად განადგურდა, რაც არაფერს არ ნიშნავს. მათი ასლები ისევ ნაციონალების ხელშია".

გვ.3




გვ.2

## გიორგი მარგველაშვილი: „მზად ვარ, მოსკოვში ჩავიდე“

რა დავალება მიიღო საქართველომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისგან

## კახა ძაგანია: „ნაციონალებს კრიმინალის ზრდაზე

გვ.5

საუბრის უფლება არა აქვთ“

ISSN 1987-9385



საპარტნიორო ფონდი

გვ.7

## საპარტნიორო ფონდის წლიური აუდიტი დასრულდა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი მარგველაშვილი: „მზად ვარ, მოსკოვში ჩავიდე“

## რა დავალება მიიღო საქართველომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისგან

ნათია ხურცილავა

**„გაძლიერებული თანამშრომლობის" პაკეტი – ასეთია ის, რასაც ქართული მხარე უელსში დასჯერდა. უკვე ცნობილია, რომ ნატოს უელსის სამიტი არ იქნება გაფართოების. როგორც აღმოჩნდა, არც მაპის სამიტია.**

– ეს არის გადამწყვეტი სამიტი გადამწყვეტ დროს. – ასეთი სიტყვებით გახსნა ნატოს გენერალურმა მდივანმა ნატოს სამიტი სამხრეთ უელსში. რამდენად იქნება უელსის სამიტი გადამწყვეტი საქართველოსთვის, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ცნობილია, რას მივიღებთ, 5 სექტემბერს, სამიტის ბოლო დღეს, რასმუსენი ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობის ვერდიქტს გაგვაცნობს.

არსებული და მომავალი უსაფრთხოების გამოწვევების განსახილველად ნიუპორტში ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურები და მთავრობის ხელმძღვანელი პირები ნატოს სამიტის ფარგლებში 4 სექტემბერს შეიკრიბნენ. ძირითადი განხილვის საკითხი, როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინაში განვითარებული მოვლენებია.

სამიტში მონაწილეობს საქართველოს დელეგაცია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი.

სამიტი ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა გახსნეს. მათ შეხვედრის მნიშვნელობასა და სამიტის მთავარ თემებზე ისაუბრეს. როგორც აღვნიშნეთ, განხილვის ძირითადი საკითხები უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესია, ასევე, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მზარდი ექსტრემიზმია.

სამიტი ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიის სხდომით დაიწყო. შეხვედრას, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაესწრო. ნატო-ს წევრმა და პარტნიორი ქვეყნების ხელმძღვანელმა პირებმა აისაფის მისიის შედეგად მიღწეული შედეგები და ავღანეთში 2014 წლის შემდეგ ალიანსის მხარდაჭერის საკითხები განიხილეს.

– ჩვენ გადავდგამთ მნიშვნელოვან ნაბიჯებს არსებული საფრთხეების გასამკლავებლად და ჩვენი მოკავშირეების თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. – ასეთია რასმუსენის განცხადება იმ საფრთხეების წინააღმდეგ, რომლის წინაშეც დგანან ნატოს წევრობის მსურველი ქვეყნები.

რა საშინაო დავალებას იღებს საქართველო?

რასმუსენი საქართველოს, კანონის უზენაესობის დაცვისკენ და რეფორმების გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

– საქართველომ თვალსაჩინო რეფორმები გაატარა თავდაცვისა და დემოკრატიის კუთხით. ნატო საქართველოს რეფორმების გაგრძელებისა და კანონის უზენაესობის დაცვისკენ დაჟინებით მოუწოდებს. – წერს რასმუსენი „ტვიტერის“ გვერდზე.

საქართველოს პრეზიდენტმა პირველი შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან გამართა.

შეხვედრის მთავარი თემა ნატო-საქართველოს ურთიერთობები და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე, საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები იყო. შეხვედრის დროს ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გიორგი მარგველაშვილს დაბადების დღე მიულოცა და საქმიანობაში წარმატება უსურვა.

ქვეყნის პირველი პირისა და ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრა ნატოს სამიტის ოფიციალურ გახსნამდე გაიმართა და მხარეებმა სამიტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უკრაინის კრიზისის ფონზე სამიტს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა აქვს რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობის თვალსაზრისით.

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ის, რომ ალიანსი სათანადოდ აფასებს საქართველოს პროგრესს. შეხვედრისას იმედი გამოითქვა, რომ მიმდინარე სამიტი საქართველოს მისცემს ნატოში გაწევრიანების ბიძგს. მხარეებმა ყურადღება იმ პაკეტზე გაამახვილეს, რომელსაც საქართველო ამ სამიტის შედეგად მიიღებს.




როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, ქვეყნისთვის ეს იქნება უმნიშვნელოვანესი იმპულსი ნატოში ინტეგრაციისთვის მოსამზადებლად და პროცესის უკეთესად წარმართვისთვის.

მარგველაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ სამიტის საბოლოო შედეგი საქართველოს უსაფრთხოებასა და დაცულობას გაზრდის.

რა არის განსაკუთრებული პაკეტი, რომელსაც საქართველო უელსში მიიღებს?

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველოსთვის შეთავაზებული იქნება თანამშრომლობის პაკეტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ნატოსკენ მიმავალ გზაზე დაეხმარება.

– ჩვენ საქართველოს თანამშრომლობის პაკეტს შევთავაზებთ, რომელიც მას წევრობისთვის მომზადებაში დაეხმარება. – წერს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი „ტვიტერზე“.

ასევე გუშინ გახდა ცნობილი, რომ გიორგი მარგველაშვილი მზად არის, ჩავიდეს მოსკოვში, თუმცა ერთი პირობით:

– მზად ვარ, წავიდე მოსკოვშიც, სხვა ქალაქშიც, სადაც აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხი განიხილება, თუმცა სტალინის ბავშვობაზე სასაუბროდ – არა. – განაცხადა მარგველაშვილმა ლონდონში, საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე დასმული კითხვის საპასუხოდ.

პრეზიდენტი ამბობს, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ არავის მოუტანა სარგებლობა, მათ შორის – არც რუსეთს.

– ჩვენ ვსაუბრობთ რეალურ საკითხებზე, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას რუსულ მხარესთან ერთად იმ გზავნილით, რომ ჩვენ მართლა არ გვესმის, რატომ ახორციელებს ბირთვული სახელმწიფო ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას. რა თქმა უნდა, წავალ მოსკოვშიც და სხვა ნებისმიერ ქალაქშიც, სადაც ეს საკითხები იქნება განხილული. მაგრამ თუ ჩვენ, მაგალითად, სტალინის ბავშვობაზე ვისაუბრებთ, არა მგონია, რომ ასეთი საკითხები პრეზიდენტების დონეზე უნდა განვიხილოთ. – აღნიშნავს მარგველაშვილი.

როგორია დელეგაციის წევრების განწყობა და მოლოდინი?

თავდაცვის მინისტრმა ალასანიამ გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მდივანთან თავდაცვის საკითხებში მაიკლ ფელონთან ორმხრივი შეხვედრა გამართა.

როგორც ჟურნალისტებისთვის დახურული შეხვედრიდან ცნობილი გახდა, მხარეებმა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო რეგიონულ უსაფრთხოებასა და უკრაინის კრიზისს.

ალასანიას განცხადებით, ნატო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ექსპერტთა ჯგუფს გამოგზავნის, რომელიც საქართველოსთვის შეთავაზებული პაკეტის განხორციელებას გაუწევს კონტროლს.

მინისტრმა ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან საქართველოს დელეგაციის შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ნატო-საქართველოს პაკეტი ალიანსის წევრებთან უკვე პრაქტიკულად შეთანხმებულია. როგორც ალასანია აცხადებს, პაკეტი ითვალისწინებს, რომ საქართველოში საწვრთნელი ცენტრი შეიქმნას, სადაც ნატოელი და პარტნიორი სამხედრო ქვედანაყოფები მოემზადებიან.

ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი:

– ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, თავდაცვის სამინისტროში და შეიარაღებულ ძალებში, გამოგზავნილი იქნება ნატოს სამხედრო ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ნატოს შემუშავებული პაკეტის ცხოვრებაში გატარებას გაუწევს კონტროლს.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოსთვის ნატო თანხმდება, თავდაცვითი შეიარაღების გაძლიერების, მოწოდებისა და შესყიდვის კუთხით, ქვეყანას მხარდაჭერა აღმოუჩინოს, რათა საქართველოს ჰქონდეს ის საშუალებები, რითაც მან, აგრესიის შემთხვევაში, თავი უნდა დაიცვას. ასევე გვითხრეს და, იმედია, დამტკიცდება, რომ საქართველო ახალ ლიგაში გადადის. შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება იყო. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს „გაძლიერებული თანამშრომლობის“ პაკეტის მნიშვნელობაზე, რომელსაც საქართველო სამიტის შედეგად მიიღებს. ირაკლი ალასანიამ ბრიტანელ კოლეგას საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი:

– საქართველო არის ერთ-ერთი ოთხი ქვეყნიდან, რომელიც არის ყველაზე უფრო მიახლოებული ნატოსთან. საქართველო არის 28+4 ასპირანტის შეხვედრაზე წარმოდგენილი, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ეს პაკეტი შეიცავს ყველაფერს, რაც ბევრად უფრო გააძლიერებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და აგრეთვე კიდევ უფრო მოამზადებს საქართველოს იმისათვის, რომ გახდეს უფრო თავსებადი ნატოსთან და მოახერხოს მასში ინტეგრაცია.

საქართველო 28+4 ასპირანტის შეხვედრაზეა წარმოდგენილი საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ოთხი ქვეყანა ყველაზე უფრო მიახლოებულია ნატოსთან და, როგორც კი იქნება ნატოს შემდგომი გაფართოების სამიტი, ეს ოთხი ქვეყანა იქნება პირველ რიგში მათ შორის, რომლებსაც ეს პოლიტიკა შეეხება.

## საქართველო სომხეთთან, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებას გააფორმებს

საქართველოს მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებას აფორმებს.

აღნიშნულ საკითხზე გუშინ, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, შალვა კვინიხიძის განცხადებით, საქართველოს მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ორგანიზაციის ( დსთ) დატოვების შემდეგ, აუცილებელი გახდა, მეზობელი ქვეყნების, ასევე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამართალდამცავ სტრუქტურებთან გაფორმებულიყო ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში თანამშრომლობის კუთხით.

ამ მიზნით, 2011 წლის 20 ოქტომბერს ქ. ბათუმში ხელი მოეწერა შეთანხმებას „ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის პოლიციას შორის დანაშაულთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებასა და ინფორმაციის გაცვლაში თანამშრომლობის შესახებ“.

„გამომდინარე იქიდან, რომ ოპერატიულ სამძებრო საქმიანობას განკუთვნილი ინფორმაცია ძირითადად დასაიდუმლოებულია, ზემოაღნიშნული შეთანხმების სრულყოფილად ამოქმედების მზნით, საჭიროა საქართველომ სომხეთის რესპუბლიკასთან ასევე გააფორმოს შეთანხმება „ საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“, – აღნიშნა შალვა კვინიხიძემ.

ნიუსპრესი

## მიხეილ სააკაშვილი: „რუსეთთან დაკავშირებით, დასავლეთში ბევრისგან უმოქმედობას ვხედავთ“



საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ევროპას რუსეთის წინააღმდეგ უამრავი ბერკეტი გააჩნია, თუმცა ბევრისგან, სახეზე, უმოქმედობაა.

ყოფილი პრეზიდენტი უკრაინის თემაზე მომზადებულ გადაცემაში ჩაერთო და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის ბერკეტებზე ისაუბრა.

მისი თქმით, პუტინს, საქართველოსა და უკრაინაში დამოუკიდებლობის და წარმატების ჩაკვლა სურდა და მისი მიზანი უკრაინის რეგიონების იზოლაცია და ქვეყნის ეკონომიკის განადგურებაა.

„რუსეთს სურს, მოკლას უკრაინული დემოკრატიის იდეა და ქვეყნის ნებისმიერი წარმატება. მას იგივე სურვილი ჰქონდა ქართული რეფორმებისა და დემოკრატიის მიმართაც. ერთის მხრივ, ვხედავთ უმოქმედობას ბევრისგან დასავლეთში და მეორეს მხრივ, ევროპას მაინც უამრავი ბერკეტი გააჩნია. მაგალითად, ეკონომიკური“ – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, რუსეთს დასავლეთის დამარცხება არ შეუძლია, რადგან გაზს ევროპაში ყიდის და მის საბანკო ტრანზაქციებს იყენებს.

„სანქციები უკვე ამოქმედდება, თუმცა კიდევ ბევრი სხვა სანქციების მიღებაც შეიძლება. ევროპის საბოლოო მიზანი უნდა იყოს, რომ დასავლეთმა რუსეთში დიდი ცვლილებების საფუძველი შექმნას“ – აღნიშნა ექსპრეზიდენტმა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი თავდგირიძე: „ნაციონალები „ქართული ოცნების“ წევრებს აშანტაჟებენ“

შორენა მარსაგიშვილი

**ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ხელისუფლებას ძალოვან სტრუქტურებში რეფორმების გატარებისკენ მოუწოდებს. ვინ შეიძლება შექმნას პრობლემები, რა კავშირი აქვს ნაცმოძრაობას ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან, დაიკავებს თუ არა მათ მხარეს გიორგი მარგველაშვილი ამ თემებზე „ახალ თაობას" გიორგი თავდგირიძე ესაუბრება.**




**გიორგი თავდგირიძე:**

– ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ფონია და კრიმინალიც მომატებულია. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ახლა უფრო მეტი დანაშაული ხდება, ვიდრე ამას ნაციონალების დროს ჰქონდა ადგილი. იმ დროს ასეთ ფაქტებს საგულდაგულოდ მალავდნენ. საზოგადოება მხოლოდ იმას იგებდა, რაც ჟურნალისტებს ჩაუვარდებოდათ ხელში, ამ ინფორმაციის გასანეიტრალებლად შემდეგ რამდენიმე ტელევიზია მუშაობდა, რომლებსაც თავის მხრივ ნაციონალები აკონტროლებდნენ. ნაციონალების შეცვლის შემდეგ ქვეყანაში მეტი თავისუფლებაა. ეს კრიმინალის თავისუფლებასაც იწვევს. ხელისუფლებამ სახელმწიფო ინსტიტუტებს სერიოზულად უნდა მიხედოს. ადამიანის უფლებები აუცილებლად უნდა დავიცვათ, მაგრამ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა დაუნდობელი უნდა იყოს. შექმნილი ვითარების გამო ჯობს მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროზე ნუ გადავტეხთ. ქვეყანაში ძალიან ბევრი პრობლემაა. სოციალური ფონი კრიტიკულია. კრიმინალის ზრდას სწორედ ასეთი მძიმე ფონი უწყობს ხელს. არის კიდევ მეორე მომენტი. კრიმინალურ ფაქტებს საეჭვოდ ემთხვევა ხოლმე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა აქტიურობა.

***– ამით რისი თქმა გინდათ, რომ ნაციონალებს ამ დანაშაულის ჩადენასთან რაიმე კავშირი აქვთ?***

– ამას არ ვამბობ. ნაცმოძრაობა არაფრით არ ეგუება არჩევნებში დამარცხებას. ისინი ხელისუფლებაში დაბრუნებას ცდილობენ. ამ მიზნის მიღწევას ძალიან ცუდი მეთოდებით ცდილობენ. ისინი წყლის ამღვრევაზე არიან გადასული. მღვრიე წყალში კი თევზის დაჭერა იოლია. ამაში მათ არსებული ხელისუფლებაც უწყობს ხელს. მათ არანაირი კომპლექსური ღონისძიებები არ გაუტარებიათ. არ შეუსწავლიათ ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე ხალხის ბიოგრაფიები. მე ის ხალხი მყავს მხედველობაში, რომლებიც იმ წლების მანძილზე პოლიტიკური კომისრების როლს ასრულებდნენ. შესაბამისად, მათთვის მთავარი არა კანონი, არამედ პოლიტიკური დაკვეთა იყო. ნაციონალურ კომისრებთან ბრძოლა ძალიან საშური საქმეა. მათ სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლიათ.

***– რა პრობლემების?***

– გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და დაელოდებიან სიგნალს ნაციონალებისგან. ამის შემდეგ ისინი უკვე მოქმედებაზე გადავლენ. მე მათ შენელებული მოქმედების ნაღმებს ვუწოდებ.

***– დღეს არსებული კრიმინალური ფონის შექმნაში ამ ადამიანებს თუ მიუძღვით რაიმე წვლილი?***

– გარკვეული წვლილი ყველას მიუძღვის. ძალოვან სტრუქტურებში მოშვებულობა აშკარად იგრძნობა. ამას პოლიტიკური სპეკულაციები რომ არ მოჰყვეს ზუსტ განმარტებასაც გავაკეთებ. შსს და სხვა ძალოვანი სტრუქტურები ეტაპობრივ გარდაქმნას საჭიროებენ. რაც საკმაოდ ძნელი განსახორციელებელია. არ შეიძლება ასე უცბად შეცვალო პოლიციელი. გამოცდილება, რომელიც მას აქვს ჰაერიდან არ მოდის. ამ 9 წლის განმავლობაში საკადრო პოლიტიკას ნაცმოძრაობა ახორციელებდა. მათ ძალიან ბევრი პროფესიონალი გააფუჭეს, აქციეს რა ისინი პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებლებად. ისინი თავის საქმის პროფესიონალები არიან და მათი შეცვლა საკმაოდ რთული იქნება. არ გამოვრიცხავ, რომ ამ ხალხმა მიიღო დავალება და ოპერატიული მუშაობა მიზანმიმართულად შეასუსტა. ნაციონალების დროს ნებისმიერი დაკავება იყო წახალისებული, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის ან რატომ დააკავებდნენ. ახლა ასეთი პოლიტიკური დაკვეთა არ არსებობს. ასეთ დროს ჩუმი ნაღმების ჩადება ძალიან იოლი იქნება. ნაციონალები ყველაფრისთვის მზად არიან. ირაკლი ღარიბაშვილს ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეექმნას პრობლემები. ამის ნიშნები უკვე შეინიშნება.

***– რა ნიშნები?***

– დაწყებულია საზოგადოების მომზადება. მიმდინარეობს საინფორმაციო შეტევა. ნელნელა აგროვებენ პრობლემებს. ამ საქმეში ღია და ფარული ნაციონალებიც ჩაერთვებიან.

***– ფარულ ნაციონალებში ხელისუფლებაში ჩანერგილ პირებს გულისხმობთ? ამბობენ, რომ ასეთები მრავლად არიან.***

– ფარული ნაციონალები ყველგან არიან: ხელისუფლებაში, მედიაში, სკოლებში, სამეცნიერო წრეებში... მათ ძალიან ბევრი უჭერს მხარს. მთელი ამ წლების მანძილზე მიდიოდა პიარი, ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანას აშენებდნენ, ეკონომიკა ვითარდებოდა, მიდიოდნენ ევროპისკენ, ოცნების კოშკებს აგებდნენ. ეს ყველაფერი არარეალური იყო მაგრამ ლამაზად მოსასმენი იყო. ეს ხალის გონებაში დაილექა. და მათ ჩათვალეს, რომ აქამდე სამოთხეში ცხოვრობდნენ. როდესაც პრობლემები დაგროვდება ნაციონალები ამ ხალხს „მასოვკისთვის“ გამოიყენებენ. ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, ხელისუფლებამ რაც შეიძლება მალე უნდა მოაგვაროს ეს ყველაფერი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეექმნებათ პრობლემები. ყოფილ ხელისუფლებას ამის გაკეთება კარგად შეუძლია. აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ნაცმოძრაობა არ არის ჩვეულებრივი პოლიტიკური პარტია, ეს გახლავთ მაფიოზური დაჯგუფება. მათ ხელში დიდი რაოდენობით ფულია თავმოყრილი. ხელისუფლებაში დასაბრუნებლად მათ უამრავი მეთოდის გამოყენება შეუძლიათ. ეს საქმე უკვე დაწყებული აქვთ, თუმცა აქტიურ და ღია ქმედებებზე ჯერ არ გადავლენ.

***– როდისთვის უნდა ველოდოთ მათ გააქტიურებას?***

– ეს იმაზე იქნება დამოკიდებული მოიპოვებენ თუ არა ისინი დასავლეთში მხარდაჭერას. რადგანაც დასავლური მხარდაჭერა სჭირდებათ შეეცდებიან არჩევნების გზით დაბრუნდნენ. დასავლეთს დაარწმუნებენ, რომ ხელისუფლება მხოლოდ არსებული პრობლემების გამო ჩაანაცვლეს. გითხარით, რომ მათ აქვთ დიდი ფული. ეს არის შავი ფული და ამით ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. არსებულმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა დაადგინოს ამ ფულის წარმომავლობა და დასავლეთს დაუმტკიცოს თუ რა გზებით შოულობდა წინა ხელისუფლება ფულს. შავი ფულის წარმომავლობის დამტკიცების შემთხვევაში ეს მაფიოზური დაჯგუფება დასავლეთისთვის მიუღებელი გახდება. გამოსააშკარავებელია მათი ბანდიტურ-მაფიოზური სქემებიც.

***– რატომ არ მუშაობს ხელისუფლება ამ მიმართულებით. ანდა იქნებ ვერაფერს უმტკიცებენ?***

– ამის დამტკიცება იოლი არ იქნება. მე ვერ გეტყვით, რომ ხელისუფლება ამას ან ვერ ან არ აკეთებს. ამის დამტკიცება თუ არ მოხდა ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი გაუჩნდება.

***– რამდენად რეალურია მათი ხელისუფლებაში დაბრუნება?***

– იმ სახეებით ალბათ არ დაბრუნდებიან. ძალაუფლების ხელში ჩაგდება ხდება ეტაპობრივად. თავიდან მნიშვნელოვანი პოზიციების დაკავება მოხდება. შემდეგ უკვე არც სააკაშვილის დაბრუნება იქნება ტექნიკურად შეუძლებელი. ასეთი რამეები ბევრ ქვეყანაში მომხდარა.

***– არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ რაღაც ნაწილი ნაციონალებს გაურიგდეს. ამ თემაზე ბევრს ჭორაობენ.***

– გარიგებას არც მე არ გამოვრიცხავ. ზოგიერთს შესაძლოა არც უნდოდეს ეს, მაგრამ იძულებული გახდებიან. ყოფილ ხელისუფლებას თითქმის ყველაზე ჰქონდა კომპრომატები. ამ მაკომპრომეტირებელი მასალების დიდი ნაწილი ოფიციალურად განადგურდა. რაც არაფერს არ ნიშნავს. მათი ასლები ისევ ნაციონალების ხელშია. ამ კომპრომატების გამოყენებით ისინი ბევრის დაშანტაჟებას შეძლებენ. ხელისუფლებაში ჩანერგილებიც არიან და საჭირო დროს ისინი სიამოვნებით გადავლენ ნაცმოძრაობის მხარეს. არის კიდევ უპრინციპო ადამიანების კატეგორია. რომლებიც პირადი კეთილდღეობისთვის ყველაფერს იკადრებენ. არ უნდა დავივიწყოთ მთელი რიგი პოლიტიკური პარტიებიც. მართალია ამ პარტიებს არ გააჩნიათ რეიტინგი, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნის ამბიცია აქვთ. ისინი სიხარულით შევლენ გარიგებაში.

***– ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ფონია. ამ ვითარებაში ღარიბაშვილის და მარგველაშვილის გაუთავებელი კინკლაობა რამდენად ნორმალურია.***

– ამ დაპირისპირებაზე ძალიან საინტერესო განმარტებებს აკეთებს ხოლმე ავთანდილ დემეტრაშვილი. ისიც კი ვერ ახერხებს მის მიერ შედგენილი კონსტიტუციის განმარტებას. ეს კონსტიტუცია ბუნებრივია ნაცმოძრაობისთვის იყო შედგენილი. ყველაფერი პოლიტიკური ლიდერების დონის მიხედვით იყო დალაგებული. ასეთი კონსტიტუცია პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას აუცილებლად გამოიწვევდა.

***– ღარიბაშვილი და მარგველაშვილი ერთ პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენენ.***

– სწორედ ეს არის უცნაური და გამაღიზიანებელი. ჩვენ გადავედით ქვეყნის მართვის საპარლამენტო მოდელზე, ამიტომაც ქვეყნის მართვის ტვირთი გადავიდა პრემიერის კისერზე. გადაწყვეტილებების მიღების და მსოფლიო ფორუმებზე ქვეყნის წარდგენის ვალდებულება მისი პრეროგატივაა. ეს სულაც არ არის პრივილეგია, ეს ტვირთი და პასუხისმგებლობა გახლავთ. ჩემთვის ამ მიმართულებით პრეზიდენტის აქტიურობა ცოტა გაუგებარია. გერმანიასაც კი ჰყავს პრეზიდენტი, მაგრამ ის არაფერში არ ერევა. პრეზიდენტს ერთადერთი ფუნქცია აქვს. პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში მან ქვეყანა ქაოსისგან იხსნას. კარგი იქნება, თუ მარგველაშვილი ამ აქტიურობას შეეშვება და კონსტიტუციის ცვლილებებს მიხედავს. ოღონდ ცვლილებები მისგან არ უნდა იყოს ინიცირებული.

***– ვიღაცები ვარაუდობენ, რომ ადრე თუ გვიან, მარგველაშვილი ნაციონალების მხარეს გადავა. გადადგამს ასეთ ნაბიჯს პრეზიდენტი, ან მიიღებენ მას ნაციონალები?***

– თუ რამენაირად მომგებიანი იქნება მარგველაშვილის ფიგურა, მაშინ მიიღებენ. მარგველაშვილს ამ პარტიაში ბევრი მეგობარი ჰყავს და ეს არც დაუმალავს. თუმცა არა მგონია გიორგი მარგველაშვილმა ნაციონალების რეინკარნაციას შეუწყოს ხელი. მგონი, კარგად ვიცნობ მის პიროვნებას და არა მგონია, ასეთი მკვეთრი მოძრაობა გააკეთოს. ის ცდილობს ყველას პრეზიდენტი იყოს.

***– მოდით, ისევ კრიმინოგენურ ვითარებას დავუბრუნდეთ. ვითარების გამწვავებას ბევრი ფართომასშტაბიან ამნისტიას უკავშირებს. თქვენი აზრით, ის ამნისტია რომ არა, გამწვავდებოდა ვითარება?***

– ამნისტია აუცილებელი იყო. კრიმინალების წინააღმდეგ ნაციონალების ბრძოლა, ერთის მხრივ, გამართლებული იყო, მაგრამ მას მიუღებელი ფორმა ჰქონდა. საქართველოს კანონმდებლობაში არსად წერია, რომ კრიმინალის წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები ჩატარებულიყო. წერია, რომ დამნაშავე ისჯება, უდანაშაულო მართლდება. ნაცმოძრაობის დროს წარმოუდგენლად ბევრი ადამიანი დააკავეს. აქედან გამომდინარე, ამნისტია აუცილებელი იყო. ამას გართულებები მოჰყვა, მაგრამ მე ამ ნაბიჯს მაინც ვამართლებ. ჯობია დამნაშავე იყოს გარეთ, ვიდრე უდანაშაულო იჯდეს ციხეში. ახლა პოლიციამ კეთილი უნდა ინებოს და მიხედოს კრიმინალს და რაც მთავარია ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს სისტემის რეორგანიზაცია.

# რატომ დაუწუნეს ხელისუფლებას უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია

შორენა მარსაგიშვილი

**3 სექტემბერს ქვეყნის პარლამენტმა უკრაინის მხარდამჭერი რეზულუცია მიიღო. უკრაინის მხარდაჭერის განსაკუთრებულ სურვილს ნაცმოძრაობა ამჟღავნებდა. ამის მიუხედავად მათ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს.**

მათი თქმით, ოცნების მიერ მომზადებული რეზულუცია სათანადოდ არ ასახავდა არსებულ ვითარებას. მიღებული რეზოლუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ უცხადებს სოლიდარობას უკრაინის ხელისუფლებასა და ხალხს. ადასტურებს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. ნაციონალებს თავიანთი რეზოლუციაც ჰქონდათ შემუშავებული.

ნაციონალების მიერ მომზადებულ რეზოლუციაში შემდეგი წერია:

– ვინაიდან უკრაინა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს, ვინაიდან უკრაინა წარმოადგენს საქართველოს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პარტნიორს და როგორც ცალკე სახელმწიფო – უდიდეს საექსპორტო ბაზარს. ვინაიდან უკრაინა ყოველთვის გვერდში ედგა საქართველოს ყველა კრიტიკულ მომენტში და ვინაიდან უკრაინის მკაფიო და არაორაზროვანი მხარდაჭერა საქართველოს არა მხოლოდ მორალური ვალდებულება, არამედ პრაგმატული სასიცოცხლო ეროვნული ინტერესია, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული აგრესია არის პირდაპირი საფრთხე მთელი ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურისთვის, მათ შორის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვისაც“- ვკითხულობთ რეზოლუციაში, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტი:

1. გმობს უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე რუსეთის სამხედრო აგრესიას. არაერთი სანდო წყაროს, მათ შორის აშშ-ის მთავრობის, ნატო-ს, ბრიტანეთის მთავრობის და ა.შ. თანახმად, უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფება რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და ჯავშანტექნიკის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

2. უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე რუსული სამხედრო აგრესია იმეორებს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას და აკმაყოფილებს გაეროს 1974 წლის რეზოლუციით „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ დადგენილ სამხედრო აგრესიის ყველა კრიტერიუმს.

3. პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ უკრაინაში გაჩაღებულ სისხლისღვრაზე ეკისრება რუსეთის ფედერაციის მიერ კონტროლირებად ტერორისტებს და პირადად პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს.

4. ა.წ. 17 ივლისს მალაიზიის ავიახაზების კუთვნილი თვითმფრინავის ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტებით ჩამოგდებაზე, რასაც 300 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, რადგან ყველა არსებული მტკიცებულებით სარაკეტო სისტემა უკრაინაში რუსეთიდან მოხვდა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები ხელს უშლიან გამოძიების განხორციელებას.

5. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას სასწრაფოდ გაიყვანოს ყველა რუსი სამხედრო მოსამსახურე უკრაინის ტერიტორიიდან და შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები უკრაინის წინააღმდეგ.

6. მხარს უჭერს და უერთდება აშშ-ის, ევროპის კავშირის და მთლიანად ცივილიზებული სამყაროს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულ და შემუშავების პროცესში მყოფ ყველა სანქციას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული სანქციები რუსეთზე ზეწოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

7. საერთაშორისო თანამეგობრობის მსგავსად, გმობს „გავლენის სფეროთა“ ცნებას და რუსეთის ყოველგვარ მცდელობას ამგვარ „გავლენის სფეროში“ მოაწციოს საკუთარი მეზობლები, მათ შორის საქართველო.

8. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას გაატაროს ყოველგვარი საჭირო ღონისძიება უკრაინისთვის პოლიტიკური და პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად.

9. მოუწოდებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს სასწრააფოდ ჩავიდეს კიევში ორმხრივი ვიზიტის ფარგლებში და უკრაინას გამოუცხადოს მხარდაჭერა.

10. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება და გასწიოს მუშაობა საერთაშიროსო თანამეგობრობის მიერ რუსეთის მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა შორის თვალსაჩინოდ ფიგურირებდეს საქართველოს დეოკუპაციის, საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის და რუსეთის მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოფხვრის მოთხოვნები.

11. მოუწოდებს ნატოსა და ევროკავშირს მიიღოს ეფექტური ზომები როგორც უკრაინის, ასევე საქართველოსა და მოლდოვის უსაფრთხოების გაძლიერების, მათ შორის შესაბამისი შეირაღების მიწოდებისათვის და ამ მიზნით ერთიან ევროატლანტიკურ სისტემაში ინტეგრაციის დაჩქარებისათვის.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ ადვოკატ ლალი აფციაურთან**

# ლალი აფციაური: „პატიმრების დიდი ნაწილი ნაციონალებმა „დაავერბოვკეს“



***— ქალბატონო ლალი, აღშფოთებულია საზოგადოება ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენური ფონით. ყოველდღე მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, რა ხდება ქვეყანაში?***

— ძალიან სამწუხარო ფაქტია. ფაქტია, რომ დაძაბულია სიტუაცია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არაფრით განსხვავდება იმ სიტუაციისგან, რომელიც 9 წლის მანძილზე იყო. მე ახლა განსაკუთრებული აღშფოთება ნაცმოძრაობისგან მოვისმინე, განსაკუთრებული. რა თქმა უნდა, აღშფოთებულია მოსახლეობა და მეც აღშფოთებული ვარ. გაუმართლებელია ნებისმიერი დანაშაული და განსაკუთრებით მკვლელობაზე როდესაც არის საუბარი. თუმცა როდესაც ნაციონალური მოძრაობა აკეთებს განცხადებას, რომ აი, შეხედეთ, აი, ხომ მიიღეთ, რაც გინდოდათ, ნიშნის მოგებით რომ აკეთებენ ამ განცხადებებს, 400 ათასი პატიმარი ჰყავდათ, როგორი იყო მაშინ სიტუაცია? მშვიდი იყო?! თუ მშვიდი იყო, 400 ათასი პატიმარი საიდან ჰყავდათ და თუ არ იყო კრიმინოგენური სიტუაცია, მაშინ გამოდის, რომ უდანაშაულო ხალხი ჰყავდათ და აღიარებენ, რომ 400 ათასი კაცი უდანაშაულოდ ჰყავდათ გამოკეტილი საპყრობილეებში?! აი, ეს ხალხი ნუ გააკეთებს ნიშნის მოგებით რამე განცხადებას. ხალხისგან მისაღებია კრიტიკა, აღშფოთება და ყველაფერი, მაგრამ ნაციონალური მოძრაობისგან, რომელსაც თავისი არსებობის პირობებში 400 ათასამდე მსჯავრდებული ჰყავდა, ლაპარაკიც კი აღარ მინდა ამ თემაზე მაგ კუთხით. სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა ძალიან ცუდი ფაქტები ხდება, როგორც ჩანს, ძალიან დიდია მოსახლეობაში იარაღი. ესეც გასარკვევია, საიდან მოხვდა ამდენი იარაღი მოსახლეობაში, ასე როგორ დარიგდა, ან ერთიანად სად იყო დამალული?! გარდა იმისა, რომ სიტუაცია ასეთია, მაშფოთებს კიდევ ის ფაქტიც, რომ თითქოს ამ ყველაფრით ვიღაცის წისქვილზე ესხმება წყალი.

***— ვის წისქვილზე? დღეს იმაზეც ბევრს საუბრობენ, რომ სააკაშვილმა შეგნებულად შეიწყალა ამდენი მკვლელი, რომ შემდეგ ისინი სიტუაციის ასარევად გამოეყენებინაო...***

— გარდა იმისა, რომ შეიწყალა, ეს კიდევ ერთი თემაა, ძალიან დიდი ნაწილი პატიმრების, ეს არის სამწუხარო რეალობა, არის ნაციონალური მოძრაობის „დავერბოვკებული“. ზუსტად ვიცი მე ეს თემა, სიები მაქვს ჩემი თვალით ნანახი, ძალიან დიდი ნაწილი პატიმრების სამწუხაროდ, ზოგი იძულების წესით, ზოგი ნებაყოფლობით, სათათბურე პირობების გამო, ციხეში ყოფნის პერიოდში გაურიგდა ნაციონალურ მოძრაობას და ზოგს დღეს შანტაჟის გზით იყენებენ, აშანტაჟებენ და ეუბნებიან, რომ თუ არ დაყვებიან მათ ნებას, გამოამჟღავნებენ ამ ხელწერილებს, მათთან თანამშრომლობის ფაქტებს და ზოგს შანტაჟით და ზოგსაც ნებაყოფლობით ათასგვარ სიბინძურეს აკეთებინებენ. მე იურისტი ვარ და კონკრეტული ფაქტების გარეშე არ უნდა ვლაპარაკობდე, მაგრამ მე მაქვს კონკრეტული ფაქტები იმისა, რომ არაერთი ადამიანი ჰყავთ მათ ხელწერით და ათასგვარ სიბინძურეს აკეთებინებენ. ნაცმოძრაობამ ნახევარი საქართველო აგენტებად და გამყიდველებად აქცია.

***— ესე იგი არც თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ნაციონალები ურევდნენ სიტუაციას მიზანმიმართულად? რათა ხელისუფლებას დაუპირისპირონ ხალხი.***

— გამოვრიცხავ კი არა, ამის ფაქტები ვიცი. სწორედ რომ ეგ უნდათ, ხალხი აუჯანყონ ხელისუფლებას. თანაც თავიანთი წარსული გააპრაონ იმით, რომ აი, ჩვენ რომ გვქონდა, მკაცრი კონტროლი და ეს და ის, ცდილობენ რამდენიმე კურდღელი ერთად დაიჭირონ. ესენი ხომ კარგად გამობრძმედილი ნაძირალები არიან. 9-წლიანი პრაქტიკა მათ უკვე იმხელა აქვთ ამ ნაძირლობის მიღებული, რომ ყველა კარგ სიტყვასაც კი, რასაც ახალი ხელისუფლება აკეთებს, სათავისოდ იწერენ. სათავისოდ მიჰყავთ ყველაფერი. კარგად აპრობირებული მეთოდები აქვთ მათ ყველაფერში და დიდი გამოცდილება აქვთ ნაძირლობაში.

***— თქვენ ახსენეთ, რომ იარაღია დარიგებული მოსახლეობაშიო და აქაც ნაციონალების ხელი ურევია?***

— სხვა შემთხვევაში, საიდან შეიძლება ქვეყანაში იყოს ამდენი იარაღი?! თუ არა ერთი კონკრეტული ბაზიდან. მე წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ თითქმის ყველა ახალგაზრდას, გადამალული ჰქონოდა იარაღი და ახლა გამოაჩინა. ეს რაღაც არარეალურია. იცით, რაღაც არ ხდება კარგი ქვეყანაში! ვიღაცის ხელი ურევია ამ ყველაფერში და ეს ვიღაცა, ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, რა თქმა უნდა, არის ისევ ნაციონალური მოძრაობა! მე მათ პირდაპირ ვადანაშაულებ! თუ ავტორიტეტია, თუ დანაშაულს სჩადის, დაიჭირეთ დანაშაულზე, თორემ ნაციონალურ მოძრაობას ჩემთვის სახლი და კარი კი არ დაუნგრევია. მე ვომობდი და ვიბრძოდი იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიოდნენ. უკანონოდ ჩადებები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თუ ხარ პროფესიონალი, თუ პრეტენზიები გაქვს პროფესიონალიზმზე, კეთილი ინებე და დაიჭირე ესა თუ ის ადამიანი დანაშაულზე და არა იარაღის ჩადებებზე და ნარკოტიკის ჩადებებზე.

***— კონკრეტული ფაქტები თუა თქვენთვის ცნობილი?***

— კონკრეტულს დაგისახელებთ, ვინმე მირზოევი, რომელიც დღემდე მაღალ თანამდებობაზე მუშაობს და იყო კოდუას ხელის ბიჭი, სწორედ ამ მირზოევის ხელით კეთდება მსგავსი რაღაცები. ეს არავის შერჩენია და არც არავის შერჩება. ამიტომ მიაქციონ ამ საკითხებს ყურადღება. დამნაშავე დაიჭირონ დანაშაულზე! ის, რომ ვიღაცა ავტორიტეტია და რაღაცა ფონს ქმნის, ეს არ არის ჩემთვის დანაშაული. კონკრეტული დანაშაული მინდა მე, კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი და არა იმის კეთება, რისთვისაც ნაციონალურ მოძრაობას ჩვენ ვებრძოდით.

***— ძველი ხელისუფლების მეთოდები გადმოიღეს?***

— როგორც ჩანს, ასეა და ასე დიდხანს ნამდვილდ ვერ იქნებიან. მე დიდი სიმპათიებით ვარ განწყობილი პრემიერის მიმართ, ძირითადი ბირთვის მიმართ, მაგრამ თუ ასე გააგრძელებენ, სამწუხაროდ, მათი იმიჯიც ისედაც ნელ-ნელა ქვევით მიდის და ამ სიმპათიით განწყობილ ადამიანებს და მომხრეებსაც მალე გადაიკიდებენ. ესე არ გამოვა.

***— თქვენ ბრძანებთ, რომ არის საბოტაჟის ნიშნები, რომ უნდა მოხდეს ნაციონალების დროინდელი კადრებისგან წმენდა ძალოვანი უწყებების, კიდევ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ არსებული ვითარება გამოსწორდეს?***

— იცით, უამრავი გამოცდილი სპეციალისტი, პროფესიონალი ოპერატიული მუშაკი, სახლში ზის უმუშევარი. უნდა შეიცვალოს კადრები. უნდა მოხდეს მომზადება. იმისია ოპერატიული მუშაკი, რომ მიიღოს ოპერატიული მასალა კონკრეტულ დანაშაულზე და არა ისეთ „დანაშაულებზე“, როგორზედაც ესენი ხალხს იჭერენ. არაერთი ფაქტი დაფიქსირდა უკვე და ძალიან დიდია აღშფოთება ჩემი კოლეგების მხრიდანაც. მე აი, თითქმის ორი წელია ხმა არ ამომიღია, გაჩუმებული ვუყურებ ამ ყველაფერს შორიდან. ვუყურებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სათქმელი არაფერი მაქვს. ჯერ ვაცალე, მინდა, რომ რაღაცა შეცვალოს, მაგრამ როცა ვხედავ, რომ უარესობისკენ მიდის სიტუაცია, მე თავს ვალდებულად ვთვლი, ეს ყველაფერი ხმამაღლა განვაცხადო, იმიტომ, რომ ეს ეხება ჩემს ქვეყანას და არა მარტო მათ ქვეყანას! ეს ქვეყანა ჩვენიც არის. მოიზიდონ პროფესიონალთა გუნდი და დაასაქმონ. ის ადამიანები კი ვინც მიჩვეულები იყვნენ ასე ჩადებებით და უკანონო ქმედებებით ხალხის დაპატიმრებას, გაუშვან სამსახურებიდან. ასეთი სისტემა ჩვენ უკვე გამოვიარეთ და აღარ გვინდა! არც მაშინ გვინდოდა და მით უმეტეს, ახლა არ გვინდა. ოდესმე ეს ქვეყანა უნდა დალაგდეს. ამიტომ გვჭირდება პროფესიონალები, რომლებიც კონკრეტულ დამნაშავეს დაიჭერენ ამა თუ იმ დანაშაულზე.

***— ამ ჩადებებს რაც უკავშირდება, ეს არის მაღალ ეშელონებზე მსხდომი პირების ნება-სურვილი, თუ ამას თვითნებურად აკეთებენ ამა თუ იმ უწყების თანამშრომლები?***

— მე ვერავინ დამაჯერებს იმაში, რომ ეს პრემიერის ნება იყოს, ვერავინ ვერ დამაჯერებს, მაგრამ ვერც იმაში ვერავინ ვერ დამაჯერებს, საქმის ყურში არ იყოს შინაგან საქმეთა მინისტრი და მთავარი პროკურორი. რაც შეეხება თავად ღარიბაშვილს, მე მეეჭვება, რომ ღარიბაშვილი ამის მომხრე იყოს.

***— ნაციონალებს რაც შეეხებათ, რამდენად სახიფათო ძალად რჩებიან და კვლავ თუ შეუძლიათ ქვეყანაში სიტუაცია არიონ?***

— თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნაციონალური მოძრაობა არ არის სახიფათო ძალა და არ წარმოადგენს საშიშროებას დღევანდელ სიტუაციაში, ძალიან ცდება, ძალიან დიდ შეცდომას უშვებს! ამ ადამიანებს აქვთ ძალიან დიდი პრაქტიკა, ნაძირლობის და აქვთ ძალიან დიდი ფული, უზარმაზარი თანხები, რასაც იყენებენ ბინძური საქმეების ჩასადენად. სამწუხაროდ, ქართველი კაცი არაერთხელ გაყიდულა გარკვეულ თანხაზე, გარკვეულ შემოთავაზებაზე და დღემდე გრძელდება. პირადად მე მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობა დღემდე ძალიან დიდი და ბოროტი ძალაა, მათ აქვთ დიდი ძალა იმისა, რომ ქვეყანაში არიონ სიტუაცია. დაიმედებულად ნუ სხედან ფეხი ფეხზე გადადებულნი და ნუ მიაჩნიათ, რომ წარსულს ჩააბარეს ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალურ მოძრაობას წარსულს ვერ ჩააბარებ, ვიდრე კიდევ დაბოგინებენ წიკლაურები, ბაქრაძეები, ბარამიძეები, ბოკერიები, თვითონ სააკაშვილი და რომელი ერთი ჩამოგითვალოთ.

**საიდან შეიძლება ქვეყანაში იყოს ამდენი იარაღი?! თუ არა ერთი კონკრეტული ბაზიდან. იცით, რაღაც არ ხდება კარგი ქვეყანაში! ვიღაცის ხელი ურევია ამ ყველაფერში და ეს ვიღაცა, ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, რა თქმა უნდა, არის ისევ ნაციონალური მოძრაობა!**

***— პროკურატურამ განაცხადა, რომ მალე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება სააკაშვილზეო და მისი დაპატიმრება ნაციონალებს წელში ვერ გატეხავს?***

— სააკაშვილს ვერ ჩამოიყვანენ! ეს პირდაპირ შემიძლია გითხრათ. იმიტომ, რომ პოლიტიკურ თავშესაფარს ის ყველა ვარიანტში მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში მოკლე დროში ვერ ჩამოიყვანენ, მას არავინ გადმოსცემს, თუ შემთხვევით არ მოხვდა ისეთ ქვეყანაში, რომელი ქვეყნიდანაც შესაძლებელია განხორციელდეს სააკაშვილის ექსტრადიცია. სხვა შემთხვევაში ძალიან რთულია სააკაშვილის ჩამოყვანა. გასაგებია, რომ ფორმალურად ძებნაც გამოცხადდა, ინტერპოლს გადაეცა, მაგრამ ელემენტარულად კეზერაშვილი ვერ ჩამოიყვანეს და კიდევ რომელი ერთი გითხრათ და სააკაშვილს გადმოსცემენ საქართველოს?! ეს არ მოხდება. თანაც მიმართულება, რა მიმართულებითაც მიდის ეს მიმდინარე საქმეები, ეს არასერიოზულია. დავიჯერო, სააკაშვილმა მხოლოდ პიჯაკში და პალტოში გახარჯა სახელმწიფო ბიუჯეტი?! სხვა დანაშაული არ ჩაუდენია ქვეყნის წინაშე?! კარგად ჩაიხედონ და დაანახონ. იგივე საომარი მოქმედებები, იგივე სტრატეგიული ობიექტების გასხვისება და რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. მარტო პიჯაკზე და ქაშმირის პალტოზეა საუბარი. უბრალოდ სირცხვილია რა! აი, ასეთ განცხადებს არც გავაკეთებდი, ამ ხელისუფლების ადგილას. დიახ, ქვეყნის პრეზიდენტი იყო და პიჯაკი უნდა ცმოდა! აბა, არ უნდა ცმოდა?! მაგრამ დიახ, საქართველოს პრეზიდენტი რომ იყო, არ უნდა გაეყიდა სტრატეგიული ობიექტები, მით უმეტეს, რუსეთის მოქალაქეებზე. მას უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და პალტოს და პიჯაკს გადააყოლეს მთელი საქართველო. ეს ელემენტარულად სირცხვილია!

## 2,7 ტონა ჰეროინის ამოღებაზე იმსჯელეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ივანე პაპიაშვილმა და ამავე დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის უფროსმა ლევან ჩიკვაიძემ, აშშ-ში შეხვედრა გამართეს.

შსს-ს ინფორმაციით, ისინი აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების მოხმარების კონტროლის ადმინისტრაციის უფროს მიშელ ლეონჰარტს, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე თომას ჰარიგანს და ამერიკელ კოლეგებს ნიუ-იორკში შეხვდნენ.

შეხვედრაზე საუბრის მთავარი თემა 11 ივლისს საქართველოში ამოღებული უპრეცედენტო ოდენობის ნარკოტიკული საშუალება – 2,7 ტ თხევადი ჰეროინის საქმე იყო.

სახმელეთო გზით ამ ოდენობის თხევადი ჰეროინის გადაზიდვის გამოვლენით და აღკვეთით, საქართველო მსოფლიოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი მოწინავე ქვეყნების რიგებს შეუერთდა. მხარეებმა ასევე, განიხილეს ორ უწყებას შორის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ნარკოტიკული დანაშაულის პრევენციის, საერთაშორისო ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები.

ქართულმა დელეგაციამ მასპინძლებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ინტენსიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, მადლობა გადაუხადა.

**მედიანიუსი**

## თავდაცვის სამინისტროს აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის სარდალი ეწვია

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფ აშშ-ს საზღვაო ქვეითთა კორპუსის სარდალს, გენერალ ჯეიმს ამოსს, დღეს,

თავდაცვის უწყებაში გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ ქაროსანიძემ უმასპინძლეს.

შეხვედრას ასევე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე, აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსთვის უელსში მიმდინარე ნატოს სამიტისა და „გაძლიერებული თანამშრომლობის“ პაკეტის მნიშვნელობა განიხილეს.

საუბრისას, განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს აისაფ-ის მისიაში მონაწილეობასა და 2015 წლიდან „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიაში ჩართვაზე გამახვილდა. გენერალმა ჯეიმს ამოსმა მასპინძელ მხარეს ქართული კონტინგენტის აისაფ-ის მისიაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. მან სურვილი გამოთქვა, რომ ავღანეთის საერთაშორისო მისიის დასრულების შემდეგ, ამერიკელ საზღვაო ქვეითებსა და ქართველ სამხედროებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდეს.

მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ის შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებაზე იმსჯელეს. საუბარი დაჭრილი ქართველი სამხედროების რეაბილიტაციის პროგრამასაც შეეხო. ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ ამერიკელ გენერალს აღნიშნული პროგრამის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. განხილვის ერთ-ერთი თემა რეგიონალური უსაფრთხოება და უკრაინის კრიზისი იყო.

შეხვედრის დასასრულს, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ ამერიკელ სტუმარს აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში ურთიერთობების განმტკიცების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და საქართველოს მიმართ გამოხატული განსაკუთრებული თანადგომისთვის „ოქროს საწმისის“ ორდენი გადასცა. ამერიკელი გენერალი საქართველოს პრეზიდენტის №01/09/02 განკარგულებით დაჯილდოვდა.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, გენერალმა ჯეიმს ამოსმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრა უკვე გამართა.

**ნიუსპრესი**

## ნინო გიორგობიანი ალასანიას ცოლის მიერ სოციალური ქსელით გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მეუღლისა და საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის დის, ნათია ფანჯიკიძის მიერ სოციალური ქსელით გავრცელებულ ინფორმაციას, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი სიცრუეს უწოდებს.

ნათია ფანჯიკიძის განცხადებით, ლაშა მახარაძის მკვლელს პოლიცია დემონსტრაციულად არ კიდებს ხელს, რამაც გარდაცვლილის მეგობრებში გამოიწვია ხმები, რომ ის ჭიკაიძის ნათესავია.

ალასანიას მეუღლის განცხადებითვე, – „სამაგიეროდ ამ საცოდავი ბიჭის ძმაკაცებს, როგორც მათმა მეგობარმა გოგომ მითხრა, „იპარავენ“ პანაშვიდებიდან ვითომ დაკითხვის მიზნით“.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის განცხადებით, ეს ცრუ და ჭორზე დაფუძნებული დეზინფორმაციაა.

„რაც შეეხება გარდაცვლილის მეგობრების დაკითხვას, ისინი მართლაც იმყოფებიან დაკითხვაზე ადვოკატების თანხლებით. მკვლელობის ფაქტი გახსნილია და პირიც დადგენილია, გამოძიების დასრულებამდე მეტ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით“– აცხადებს ნინო გიორგობიანი.

**ნიუსპრესი**

## დავით ნარმანია საქართველოში ვიზიტად მყოფ საბერძნეთის დელეგაციას შეხვდა

თბილისის მერი დავით ნარმანია საქართველოში ვიზიტად მყოფ საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის მდივანს სპირიდონ კატრამადოსს, ბერძენ ბიზნესმენებს და საქართველოში საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ელეფთერიოს პროიოსს შეხვდა.

მერიის ცნობით, შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის რელიგიური ტურიზმის განვითარებასა და თბილისისა და ათენის დაძმობილების გეგმებზე. დავით ნარმანიას თქმით, ორი ქალაქის დაძმობილება კარგი საშუალებაა სხვადასხვა სფეროებში , მათ შორის რელიგიური ტურიზმის განვითარებაში გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, რაშიც აქტიურად უნდა ჩაერთონ ორი ქვეყნის ტუროპერატორი კომპანიები. მისივე თქმით, დაგეგმილია თბილისის ისტორიული ადგილების რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს თბილისში ტურისტების მოზიდვას და რელიგიური ტურიზმის განვითარებას.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საბერძნეთის და საქართველოს მჭიდრო ისტორიულ კავშირებს. ელჩის თქმით, საბერძნეთში დღეისათვის 100 000-ზე მეტი ქართველი ცხოვრობს, საქართველოში ასევე არსებობდა ბერძნული დიასპორა და სწორედ ეს არის ორ ქვეყანას შორის ხიდი.

სპირიდონ კატრამადოსმა დავით ნარმანია ოქტომბრის ბოლოს, საქართველოს დელეგაციის დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში საბერძნეთში მიიწვია და საბერძნეთის პატრიარქისგან საჩუქრად ხატი გადასცა. თავის მხრივ, სტუმარი დავით ნარმანიამაც დაასაჩუქრა.

**მედიანიუსი**

## პირველკლასელთა დამრიგებლებისათვის ტრენინგ-კურსი ტარდება

2014-2015 სასწავლო წლისთვის, სახელმწიფო ყველა პირველკლასელს გაუმჯობესებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე ნეთბუქებს საჩუქრად გადასცემს. განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, მაღალი ხარისხის კომპიუტერებს დაწყებითი კლასის დამრიგებლებიც მიიღებენ.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, სასწავლო პროცესში კომპიუტერების მიზანმიმართული ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი დაწყებითი კლასის მასწავლებლების ტრენინგებსაც ახორციელებს.

გუშინ, განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე რუსთავის 22-ე საჯარო სკოლას ეწვია, სადაც ახალი კომპიუტერები უკვე მიიღეს და პირველკლასელთა დამრიგებლების ტრენინგები მიმდინარეობს.

„დაწყებითი საფეხურიდანვე თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია სწავლა-სწავლების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია – კომპიუტერების საშუალებით პირველკლასელები დავალებებს ასრულებენ და სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს ეცნობიან. ინტერაქტიული და მოსწავლეებისათვის საინტერესო საგაკვეთილო პროცესის უზრუნველსაყოფად, სპეციალურ გადამზადებას გადიან პირველკლასელთა დამრიგებლებიც.

პირველი კლასის მასწავლებლების ტრენინგ-კურსი „ელექტრონული სწავლების დანერგვა" მიზნად ისახავს მასწავლებლების დახმარებას, რომ ელექტრონული სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად წარმართონ",-აცხადებენ სამინისტროში.

ტრენინგის განმავლობაში მასწავლებლები რამდენიმე საკითხებს გადიან: ნეთბუქთან მუშაობა და ფიზიკური სტრუქტურის გაცნობა; ტექსტურ რედაქტორში მუშაობა; ინტერნეტის გამოყენება პროფესიული მიზნებისთვის; ელექტრონული ფოსტა და დოკუმენტის გაცვლა/გაზიარების საშუალებები; საპრეზენტაციო პროგრამა; კლასის მართვის პროგრამული უზრინველყოფა; ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტის მომზადება; 1:1 სასწავლო გარემოში გაკვეთილის და სასწავლო პროექტის განხორციელება და შეფასება

სამინისტროს ინფორმაციითვე, კონსულტაციები უშუალოდ სასწავლო პროცესშიც გაგრძელდება, რაც უწყების განცხადებით, მიზნად ისახავს მასწავლებლის ინდივიდუალურ დახმარებას სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების ყველა ეტაპზე.

**ნიუსპრესი**

## ცხინვალის იზოლატორი კიდევ ერთმა გატაცებულმა დატოვა

სოფელ კირბალიდან გატაცებულმა მამუკა სამხარაძემ, ცხინვალის იზოლატორი ჯარიმის გადახდის შემდეგ გუშინ დატოვა. სამხარაძე ერთი კვირის წინ რუსმა შეიარაღებულმა პირებმა სოფლის ახლოს მდებარე ტყეში დააკავეს.

მის დაკავებას ოჯახის წევრებიც შეესწრნენ. მიმდინარე კვირაში, ცხინვალის იზოლატორიდან, უკვე ოთხი გატაცებული გათავისუფლდა.

**ნიუსპრესი**

## ქორწინების იძულება სისხლის სამართლის დანაშაული ხდება

„სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილება შედის, რომელსაც ქორწინების იძულების მუხლი ემატება. ახალი მუხლის მიხედვით, ქორწინების, მათ შორის არარეგისტრირებულის იძულება, დაისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით 200-დან 400 საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 4 წლამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, 2-დან 4 წლამდე.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით ზომების გამკაცრებასა და ახალი ნორმების შემოღებას ითვალისწინებს, საქართველოს პარლამენტში უკვე წარდგენილია.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონსა და დაახლოებით 10-ზე მეტ კანონში შესატანი ცვლილებები პარლამენტში მესამე მოსმენით გადის.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## მზა კერძების ობიექტზე დიდი რაოდენობით მწერი და ტარაკანი აღმოაჩინეს

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კრიტიკული შეუსაბამობების აღმოჩენის გამო მცხეთასა და ბათუმში მდებარე სურსათის ობიექტებს საწარმოო პროცესი შეუჩერა. სააგენტომ ინსპექტირების დროს ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შპს „რეზო და კომპანიაში", რომელიც მზა კერძების წარმოება-რეალიზაციით არის დაკავებული, დიდი რაოდენობით მწერი და ტარაკანი აღმოაჩინა.

სააგენტოს ცნობით, საწარმოში 5 კრიტიკულ შეუსაბამობასთან ერთად 20 არაკრიტიკული დარღვევა აღმოჩნდა. კერძოდ: საწარმოში არ არის ცხოველური წარმოშობის სურსათის სათანადო ტემპერატურულ რეჟიმში დამუშავებისა და შენახვის პირობები; შენობა არ არის აღჭურვილი ვენტილაციის სისტემით; მზა სურსათის ღია წარმოების პროცესში ადგილი აქვს კონდენსატების დაგროვებას.

სააგენტოს ცნობით, გარდა აღნიშნული კრიტიკული დარღვევებისა, დაფიქსირდა ასევე არაკრიტიკული შეუსაბამობები. კერძოდ, შენობა არ არის იმგვარად მოწყობილი, რომ დაცული იყოს ჰიგიენური ნორმები და წესები; ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა სასმელი წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული კვლევის ოქმები და ა.შ.

მცხეთაში მდებარე სახინკლე ი.მ „ანგელინა პაპიაშვილმა" კი ვერ წარმოადგინა ვეტერინარული მოწმობა – ფორმა №2, რის გამოც აღნიშნულ ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერდა.

დარღვევების გამო ორივე ბიზნესოპერატორი 1000-1000 ლარით დაჯარიმდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით,ორივე მათგანს საწარმოო პროცესი შეუსაბამობების გამოსწორების შემდეგ აღუდგება.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# კახა ძაგანია: „ნაციონალებს კრიმინალის ზრდაზე საუბრის უფლება არა აქვთ"

*მარიკა მჭედლიშვილი*



**ვერც ერთი დამნაშავე, თუნდაც, მკვლელი, ვერ დაუშავებს ქვეყანას იმდენს, რამდენსაც სააკაშვილის ორგანიზებული სახელისუფლებო დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფი უშავებდა**

კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის" წარმომადგენელი კახა ძაგანია აღიარებს, რომ ქვეყანაში მძიმე კრიმინოგენური და სოციალური ფონია. ამასთან, იგი გაოცებულია იმით, რომ ამ თემაზე ამდენ ხმაურს ბედავენ უთვალავი დანაშაულის ჩამდენი ერთიანი ნაციონალური წარმომადგენლები, რომლებმაც ქვეყანაში დანაშაულებრივი სისტემა ჩამოაყალიბეს. ნაციონალები, მისი თქმით, ამ რთულ მდგომარეობას თავისი საპროტესტო აქციებისათვის გამოიყენებენ. „ახალი თაობა" კახა ძაგანიას ესაუბრა.

***– ბოლო დროს თითქმის ყველგან მიდის საუბარი რთულ კრიმინოგენურ სიტუაციაზე. ამ თემას განსაკუთრებულად გამოაცოცხლა ნაცმოძრაობა...***

– სიტუაცია მართლაც გართულებულია, განსაკუთრებით განზრახ მკვლელობების კუთხით. ხანდახან კი ისეთი დანაშაულის შესახებ ვიგებთ, რომელიც ადამიანს მხეცთან აახლოებს. ვანში ყაჩაღებმა ბავშვი დააუთოვეს. როცა ასეთ საშინელებას ვიგებ, დარვინის თეორია მახსენდება და მგონია, რომ ამის გამკეთებელი მართლაც ცხოველისაგან წარმოიშვა. აუცილებელია პრევენცია, რომ ასეთი შემაძრწუნებელი ფაქტები არ მოხდეს. რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობის ლიდერები ცდილობენ, ასეთი ფაქტები გამოიყენონ. ისინი საშემოდგომო აქციებისთვის საფუძველს ამზადებენ. რაც ხდება, ნებსით თუ უნებლიეთ, მართლაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების წისქვილზე ასხამს წყალს. ყოფილი მმართველი პარტიის აქტივისტები ცდილობენ, ვითარება კიდევ უფრო დაამძიმონ. ეს ხდება მაშინ, როცა მათ ამ თემაზე სათქმელი არაფერი აქვთ. ნაცმოძრაობამ ქვეყანაში დანაშაულებრივი სისტემა ჩამოაყალიბა. ზოგიერთი მათგანი უტიფრად აცხადებს, თუ დამნაშავე ვარ, დამიჭირეთ.

***–ამ ხელისუფლებას სისტემურ დანაშაულს მაინც ვერ დავაბრალებთ...***

– რა თქმა უნდა. ამ ხელისუფლების ადვოკატი არა ვარ. მე „ქართულ ოცნებას" ვაკრიტიკებ კიდეც, მაგრამ, ნაციონალებისგან განსხვავებით, დანაშაულებრივი სისტემა არ შეუქმნია. ნაცმოძრაობის დანაშაულებრივ სისტემაზე უამრავი რამის თქმა შეიძლება. მე მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. ეს დადასტურებული და სასამართლო განხილვაზე გადაცემული საქმეა. მხედველობაში მაქვს სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. სააკაშვილის ხელისუფლებამ იზრუნა, რომ ამ მკვლელობის მონაწილეები ერთად მოეთავსებინათ საპყრობილეში. ამისათვის სპეციალურად საპროცესო კანონმდებლობაც კი შეცვალეს. წარმოიდგინეთ, როგორი დანაშაულებრივი სისტემა იყო შექმნილი! ჯერ ერთი, პარლამენტს მიაღებინეს ცვლილებები საპროცესო კანონმდებლობაში. მთავრობაც შეთანხმებული იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობა პროკურატურის დახმარებით დავალებებს აძლევდა პარლამენტს. რა თქმა უნდა, თავისი ფუნქცია ჰქონდა სასამართლოსაც, რომელმაც მინიმალური სასჯელები შეუფარდა ამ საქმეზე დაკავებულ პირებს. მთელი სისტემა, ხელისუფლების სამი შტო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ჩართული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში. ესაა დანაშაულებრივი სისტემა. ამ დანაშაულებრივი სისტემის ავტორები და მამები იყვნენ სწორედ ის ჯგუფები, რომლებიც ყვირიან კრიმინალის გაზრდის შესახებ.

***– სამწუხაროდ, სიტუაცია მართლაც რთულია...***

– დიახ. ეს მეც აღვნიშნე. ვფიქრობ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს. მდგომარეობა მძიმეა. მაგრამ ეს ნაცმოძრაობის შესაფასებელი არ არის. სხვაა, როცა დანაშაულს სჩადის ბანდიტი და ყაჩაღი და მეორეა, როცა ამას აკეთებს ხელისუფლება. ნაცმოძრაობის შემთხვევაში ბანდიტები და ყაჩაღები იყვნენ ხელისუფლებაში. ასეთი იყო მთლიანად ხელისუფლება. ხელისუფლების სამივე დამნაშავე შტო იმართებოდა მთავარი ორგანიზატორის, პრეზიდენტის მიერ. ვერც ერთი დამნაშავე, თუნდაც, მკვლელი, ვერ დაუშავებს ქვეყანას იმდენს, რამდენსაც ორგანიზებული სახელისუფლებო დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფი უშავებდა.

***– პრევენციის აუცილებლობა ახსენეთ. როცა რეიდები ტარდებოდა, იგივე ადამიანები, რომლებიც დღეს ისტერიკაში არიან დანაშაულის მატების გამო, მაშინ ამ რეიდებს აპროტესტებდნენ...***

– პრევენცია მარტო რეიდებში არ ვლინდება. პრევენცია გულისხმობს სკოლებში შესაბამისი სამუშაოების გატარებას, ბავშვების სპორტულ ჯგუფებში ჩაბმას, ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციას. რა თქმა უნდა, რეიდებიც საჭიროა. ოღონდ, რეიდები არ უნდა დაემსგავსოს კუდიანებზე ნადირობას. შევარდნაძის დროს რეიდები იმიტომ ეწყობოდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შავი ფული ეშოვა. ასე რომ, დანაშაულის პრევენცია კომპლექსური საქმიანობაა და ის შედეგს იძლევა. დამნაშავეობამ რომ იკლოს, ამისთვის გასაუმჯობესებელია სოციალური მდგომარეობაც. სოციალური ვითარების გამოსწორება ბევრი პროცენტით შეამცირებდა კრიმინალს. აუცილებელია სოციალური პროგრამების განხორციელება. ეს შესაძლებელია ადგილობრივი ან ცენტრალური ბიუჯეტებიდან. გარკვეულ ადამიანებში ჩასატარებელია მუშაობა იმ მიზნით, რომ ისინი გახდნენ საზოგადოების ნაწილი. მთავრობამ ეს კომპლექსური ღონისძიებები უნდა ჩაატაროს. სოციალური პროგრამები უფრო ნაკლები თანხა დაჯდება, ვიდრე დამნაშავის შენახვა ციხეში. ესაა ბევრი განვითარებული ქვეყნის პრინციპი და მიმართულება, რომელიც მეცნიერულ დასკვნებზეა აგებული.

***– ხელისუფლების სოციალურ პოლიტიკაზე რას იტყვით?***

– ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ ახორციელებს იმ სოციალურ პროგრამებს, რომლებსაც საარჩევნო დაპირებებისას ვისმენდით. ქვეყანაში არის კარგი საინვესტიციო გარემო. ინვესტიციები პირდაპირ კავშირშია სამუშაო ადგილების შექმნასთან. სერიოზული პრობლემაა ქართული ბაზრის, ადგილობრივი პროდუქციის დაუცველობა.

***– აღნიშნეთ, რომ ნაციონალები დამნაშავეობის გაზრდას აქციებისთვის გამოიყენებენ...***

– დიახ. სიმართლე გითხრათ, გულგატეხილი ვარ იმით, რომ საზოგადოების ნაწილის პოზიციამ გააძლიერა ნაციონალური მოძრაობა.

***– არც პოლიტიკოსებს დაუკლიათ ხელი. მმართველი კოალიციის წარმომადგენლებიც ენერგიულად აცოცხლებდნენ ნაცმოძრაობას...***

– რა თქმა უნდა. მთავარი დამნაშავეები პოლიტიკოსები არიან. მე ვსაუბრობ მოქალაქეებზე, რომელთა მოქმედების შედეგად ნაცმოძრაობა მთავარ ოპოზიციურ ძალად იქცა. სამწუხაროა, რომ ამის შედეგად საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში, ხელისუფლების გარდა, მარტო ნაციონალური მოძრაობა ჩანს. წარმოუდგენელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ადამიანები ხმას აძლევდნენ ყოფილ მმართველ პარტიას, რომელმაც ამდენი რამ გააფუჭა. ნუთუ ამ ხალხს დაავიწყდა, რაც ცოტა ხნის წინ ხდებოდა? ზოგიერთი, ალბათ, იმან დაბოლმა, რომ ნაციონალების წასვლის შემდეგ ხელფასს ველარ იღებს, მაგრამ, ასეთი შეიძლება მხოლოდ 5 პროცენტი იყოს. მე სხვების პოზიცია ვერ გავიგე. აქციებისთვის ნაცმოძრაობა გამოიყენებს მძიმე კრიმინოგენურ და სოციალურ მდგომარეობას. ადრე საგარეო პოლიტიკაზე უნდოდათ ქულების დაწერა. მაგრამ, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ახლა ნატოს სამიტზეც ახალ სტატუსს და „ოქროს ბარათს" მიიღებს. უკრაინაზეც უნდოდათ ხმაურის გამოწვევა და ირწმუნებობნენ, თითქოს „ოცნება" პრორუსულ პოლიტიკას ატარებს და უკრაინას მხარს არ უჭერს. ესეც ტყუილი აღმოჩნდა. ახლა ნაციონალები შეეცდებიან, კრიმინალისა და სოციალური თემები გამოიყენონ არეულობისთვის. ამაში აქტიურად ჩართავენ თავიანთ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მაგალითად, „თავისუფალ ზონას". ვფიქრობ, ისინი ჯერ ჭიკაიძის გადაყენებას მოითხოვენ (ეს უკვე დაწყებულია), შემდეგ კი, დაიწყებენ აქტიურ კამპანიას ღარიბაშვილისა და ივანიშვილის წინააღმდეგ. საბოლოოდ არაფერი გამოუვათ, მაგრამ, მათი მხრიდან იქნება დესტაბილიზაციის მცდელობა.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

გულიკო ბალაძე

# ნანა კაკაბაძე: „პატიმართა შეწყალება საფრთხილო თემაა“

## ამნისტიის შედეგად გარეთ გამოსულ 15 ათასზე მეტ ადამიანს არავითარი ფსიქორეაბილიტაცია არ გაუვლია

**უკავშირდება თუ არა საპატიმროებში არსებული ვითარება, უსამართლოდ მსჯავრდებულების გათავისუფლება, ამნისტია ან შეწყალება კრიმინალის ზრდას?**

ოფიციალური მონაცემებით, კრიმინალი არ გაზრდილა. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ საპატიმროებში ვერა და ვერ დაწყნარდა სიტუაცია. დროდადრო იფეთქებს ხოლმე საპატიმროებში შიმშილობის აქციები.

დღეს საპატიმროებში 35 პატიმარი შიმშილობს. მათ შორის ერთი იანვრიდან დღემდე მიმართავს პროტესტის ამ უკიდურეს ფორმას.

ახალი ხელისუფლების პირობებში ძირითადად პატიმრები პროტესტის შიმშილობას მიმართავენ იმისათვის, რომ მიაღწიონ უსამართლო სასჯელისაგან გათავისუფლებას ან შეწყალებას.

დღევანდელი ხელისუფლება დღემდე წინა ხელისუფლების შეცდომებისა და დანაშაულების შედეგების გასწორებას ვერ აუდის.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინფორმაციით, ამჟამად საპატიმრო დაწესებულებებში 35 პატიმარი შიმშილობს, რომლებიც მათი ბრალდების საქმეების გადასინჯვას მოითხოვენ.

— დღესდღეობით დაწესებულებებში 10.240-ზე მეტი პატიმარი გვყავს. აქედან ინდივიდუალურად 35 პატიმარი შიმშილობს. ისინი ითხოვენ საქმეების გადასინჯვას. მათ პრეტენზია ბრალთან დაკავშირებით აქვთ. შეიძლება, თითზე ჩამოსათვლელს — ერთს ან ორს, ჰქონდეს პრეტენზია სამედიცინო დეპარტამენტთან, ისიც იმიტომ, რომ გაუზარდონ ფსიქოტროპული წამლების რაოდენობა, რაც დაუშვებელია. ისინი იღებენ იმდენს, რაც ექიმისგან აქვთ დანიშნული. — განაცხადა მინისტრმა.

ამასთანავე, მინისტრს სურს, ჟურნალისტებმა ინფორმაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადაამოწმონ.

— სასჯელაღსრულების სისტემა საკმაოდ ფაქიზი და სენსიტიურია. მინდა, უფრო მეტად გადამოწმებული ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას. — ამბობს გიორგი მღებრიშვილი.

გიორგი მღებრიშვილის აზრით, კრიტერიუმები, რომლითაც პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია ხელმძღვანელობს, ლოიალურია. მიმდინარე თვეში, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის გადაწყვეტილებით, ვადამდე 50 მსჯავრდებული გათავისუფლდება.

— კრიტერიუმები საკმაოდ ლიბერალური და ლოიალურია. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ამ თვეშიც 50 ადამიანს შეეხება პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება. არსებული კრიტერიუმებით, ფასდება პატიმრის ყოფაქცევასა და დანაშაულის სიმძიმესთან დაკავშირებული მონაცემები და შემდეგ შეწყალების კომისიას გადაეცემა, კრიტერიუმები კი არ შეიცვლება. — აცხადებს მინისტრი მღებრიშვილი.




საქმე ისაა, რომ აბაშიძის ქუჩაზე ორი დღის წინ მოკლულ ლაშა მახარაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის გადაწყვეტილებით გათავისუფლებულა.

ბატონმა მღებრიშვილმა განაცხადა, რომ ერთი პატიმარი იანვრის შემდეგ შიმშილობს.

„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე კი აბსოლუტურად გამორიცხავს, რომ კრიმინოგენური ვითარების გაუარესება ამნისტიას გამოეწვია.

ნანა კაკაბაძის განცხადებით, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებით არ დასტურდება ამნისტიით ან ვადაზე ადრე გათავისუფლებით ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების შეცვლა.

— აბსოლუტურად გამორიცხულია, რომ ამნისტიას ან ვადამდე გათავისუფლებას შეიძლება უკავშირდებოდეს ის კრიმინოგენური ვითარება, რომელიც დღეს ქვეყანაშია. განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში კრიმინალმა თანდათან იმატა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევებით და შსს-ს სტატისტიკით არ დასტურდება, ფაქტია, მოსახლეობა ამას თავის თავზე გრძნობს. ვითარების გაუარესების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის ძველი სასამართლოებია, რომლებიც დღესაც მუშაობს ქვეყანაში. დღეს უკვე სასამართლოები ძალიან ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას პირის თავდებით გათავისუფლებაზე. ამას აკეთებენ ისეთ უმძიმეს დანაშაულებზე, როგორიცაა ბანდიტიზმი, ქურდობა. ადამიანს, რომელმაც ასეთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასჯელის სახით წინასწარი პატიმრობა არ განესაზღვრა. სასამართლომ დააკისრა გირაო და ამ ადამიანებს ეს თანხა მოსაძიებელი აქვთ. ისინი კი ისეთები არიან, რომლებიც მიდრეკილნი არიან კანონის დარღვევისკენ“. — განაცხადა კაკაბაძემ.

ნანა კაკაბაძე კრიმინალის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად შეწყალებასაც ასახელებს. „პირველ პრესკლუბში“ კაკაბაძემ აღნიშნა, რომ პრეზიდენტი და შეწყალების კომისია პატიმრების შეწყალებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს.

— შეწყალება უპირობო აქტია, რომელიც პრეზიდენტს საშუალებას აძლევს, ნებისმიერი დანაშაულისთვის გასამართლებული პირი გაათავისუფლოს. აქედან გამომდინარე, შეწყალება, ალბათ, უფრო საფრთხილო თემაა, ვიდრე ამნისტია და ვადამდელი გათავისუფლება, რადგან პირი, რომელსაც შეწყალება ეხება, ძალიან კონკრეტულად უნდა იყოს შესწავლილი, რამდენად არ არის ის საზოგადოებისთვის საშიში და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მისი საქმის განხილვით არ უნდა ხდებოდეს, — განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ მრჩეველ ლალი მოროშკინას განცხადებით, ამნისტიით გათავისუფლებულებს სარეაბილიტაციო კურსი არ გაუვლიათ, რომელსაც მსჯავრდებულები პატიმრობის ბოლო წლებში გადიან. ამიტომ ჩვენ მივიღეთ საზოგადოების გაღიზიანებული და გაპათოლოგებული ნაწილი.

— ამნისტიის შედეგად გარეთ გამოსულ 15 ათასზე მეტ ადამიანს არავითარი ფსიქორეაბილიტაცია არ გაუვლია. თუ მათ არ დახვდნენ მშობლები, ოჯახის წევრები და მეუღლეები, რომელთაც შეძლეს, სითბოთი აღმოეფხვრათ ის კატასტროფა, რომელიც მათ ციხეებში გაიარეს წლების განმავლობაში, ჩვენ მივიღეთ უფრო და უფრო გაღიზიანებული, გაპათოლოგებული ნაწილი. — ასეთია ლალი მოროშკინას დასკვნა.

გარდა ამისა, ლალი მოროშკინა კრიმინალური ფონის გაუარესებას მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებულ შეწყალებასაც აბრალებს. ყველას გვახსოვს, სააკაშვილმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებული პირები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე რომ შეიწყალა.

ლალი მოროშკინა ამბობს, რომ სააკაშვილის მიერ შეწყალებული მძიმე დანაშაულებში ბრალდებულები ელოდებოდნენ იმ დროს, როდესაც სიტუაციას აურევდნენ.

— დღესაც არ გვაქვს სააკაშვილის პასუხი შეკითხვაზე, რისთვის სჭირდებოდა ისეთი ადამიანების გარეთ გამოშვება, რომელთაც 23-30 წელი ჰქონდათ მისჯილი და ნამდვილად რისკჯგუფებში იყვნენ. ამაზე პასუხი ჩემთვის ძალიან ნათელია — ეს ადამიანები ელოდებოდნენ იმ დროს, როდესაც დაიწყებდნენ სიტუაციის არევას. ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ ამას ხელოვნურობის სახეც აქვს. სიტუაცია რეალურად ფუჭდება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ოდესღაც იყვნენ ნასამართლევნი, — აცხადებს მოროშკინა.






პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ასევე სრულიად გამორიცხავს როგორც კრიმინალის ზრდას, ასევე ამნისტიით პატიმართა გათავისუფლებულების როლს ამ საკითხში.

ბესელია ციხეებში არსებულ ვითარებასაც არ მიიჩნევს კრიტიკულად.

ეკა ბესელია ქალ პატიმრებთან შეხვედრას გეგმავს. მისი თქმით, მათ შიმშილობა შეწყვიტეს.

ეკა ბესელია ამბობს, რომ მას აქვს მუდმივი კომუნიკაცია ამ სისტემასთან, საერთოდ კი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი პენიტენციურ სისტემაში მუდმივ მონიტორინგს ატარებს.

***— ქალბატონო ეკა, ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე რას იტყვით?***

— მე ახლა ვაპირებ, ქალ პატიმრებს შევხვდე, თუ რამემ ხელი არ შემიშალა. შიმშილობა შეწყვეტილი აქვთ, მაგრამ მათთან სამუშაო რეჟიმით დავიწყებთ. შეწყალების კომისიასთან ვიმუშავებთ, კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს დამატებით მათთვის დასახმარებლად.

რაც შეეხება ციხეებში არსებულ ვითარებას, ჩვენს კომიტეტი მუდმივ მონიტორინგს ატარებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სექტემბრიდან მონიტორინგს კიდევ უფრო აქტიურად გავაგრძელებთ. კომიტეტში გვექნება მოსმენები ყველა იმ საკითხზე, რაც შეიძლება პრობლემური იყოს. თუმცა, მთლიანობაში, ვითარება შეცვლილია. ცალკეული პრობლემების გარეშე ციხე არ არსებობს. მას სჭირდება მუდმივი ყურადღება, მუდმივი დაკვირვება და, სადაც კი ჩნდება პატარა პრობლემა, მას რეაგირება სჭირდება. ამიტომ მე მაქვს ძალიან ინტენსიური, ყოველდღიური კომუნიკაცია ამ სისტემასთან. ამ დღეებში გარკვეული შემოვლითი სამუშაოები გვექნება.

## დევნილთა სამინისტრო გამოვლენილი თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ შოთა რეხვიაშვილმა, თაღლითობის გამოვლენილ ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ საგანგებო ბრიფინგი გამართა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, სამართალდამცავმა ორგანოებმა აღნიშნულ ფაქტზე თაღლითობის მუხლით გამოძიება უკვე დაიწყეს.

„მოქალაქე, თავადაც დევნილი, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მეორე დევნილს ბინის მიღებაში დახმარებას დაჰპირდა. მეტი დამაჯერებლობისთვის იგი ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში სამინისტროს მაღალჩინოსნებიც იყვნენ ჩართულნი.

როგორც კი ეს ფაქტი ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ პროცესში მყისიერად ჩავრთეთ შესაბამისი სამართალდამცავი სტრუქტურები. ეს პიროვნება უკვე დაკავებულია და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, იმედი გვაქვს, იგი სათანადოდ დაისჯება“, — განაცხადა რეხვიაშვილმა.

მინისტრის მოადგილის თქმით, დევნილთა სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რათა დევნილთათვის გამოყოფილი თითოეული თეთრი მიზნობრივად დაიხარჯოს.

რეხვიაშვილის განცხადებით, ბინების განაწილება მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებითა და მინიჭებული ქულებით ხდება, რაც ყოველგვარ „ჩაწყობასა“ და კორუფციას გამორიცხავს.

მინისტრის მოადგილე დევნილებს მიმართავს, ნუ გახდებიან თაღლითების მსხვერპლნი და ნებისმიერი ასეთი ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში, სამინისტროს ცხელ ხაზზე დაუკავშირდნენ. მისი თქმით, ანონიმურობა დაცული იქნება.

„ჩვენი ბრიფინგის მიზანია საზოგადოების და უპირველეს ყოვლისა ჩვენი ბენეფიციარების: დევნილების, ეკომიგრანტების, ლტოლვილების, მიგრანტების და რეპატრიანტების გაფრთხილება, რომ არ შევიდნენ ამგვარ დანაშაულებრივ გარიგებებში არავისთან, რადგან ამ გზით ისინი თავიანთ პრობლემებს ვერ მოაგვარებენ. კიდევ ერთხელ, მკაფიოდ მინდა განვაცხადო, რომ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც უკავშირდება ჩვენს ბენეფიციარებს, მიიღება ღიად, გამჭვირვალედ, კომისიურად, სადაც ავტორიტეტული საერთაშორისო დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციები არიან ჩართული, რაც უკანონობას და არაობიექტურობას გამორიცხავს“, — განაცხადა შოთა რეხვიაშვილმა.

**ნიუსპრესი**

## ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე, პოლიციამ ერთი პირი ფასანაურში დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ვლადიმერ ბ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ვლადიმერ ბ.-მ თავისი კუთვნილი ავტომანქანით 2 სექტემბერს, ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე მიიყვანა პირი, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა 1987 წელს დაბადებულ ლაშა მახარაძეს. იგი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

ვლადიმერ ბ. დამნაშავე პირთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ის ფასანაურში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## ლენტეხში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში მომხდარი ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობის საქმე გახსნილია. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა. როგორც გიორგობიანი აცხადებს, მკვლელობის მოტივი ეჭვიანობა იყო. ლენტეხის რაიონ სოფელ სასაში ახალგაზრდა მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.

საქმე სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით არის აღძრული, რომელიც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. შსს-ს ინფორმაციით, დამნაშავის ვინაობა დადგენილია, რომლის დასაკავებლად, შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## საქონლის აქციზური მარკის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე, მოქალაქე ვახტანგ რევია დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ვახტანგ რევია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური სპირტიანი ალკოჰოლური სასმელების აქციზური მარკის გარეშე დამზადება-რეალიზაციას სისტემატურად ახდენდა, რითაც კანონით დადგენილი აქციზის გადასახადის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას თავს არიდებდა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 4-დან 6 წლამდე, თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

# თბილისის მთავრობამ ინვენტარიზაციის კომისია შექმნა

შორენა გონგლაძე

თბილისის გამგეობებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია დაევალა. ამისათვის, თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, ინვენტარიზაციის კომისია შეიქმნა, რომელიც აღნიშნულ საკითხებს შეისწავლის.

თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული სსპ-ების, აიპ-ებისა და მუნიციპალიტეტის 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია დაიწყება.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მართვისა და საინვენტარიზაციო მუდმივმოქმედ კომისიას თბილისის ვიცე-მერი გიორგი ხელაია უხელმძღვანელებს. კომისიის შემადგენლობაში შედიან თბილისის მერიის საფინანსო, იურიდიული, აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურების, ასევე ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი პირები.

გავრცელებული ინფორმაციით, კომისიას დაევალა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყოს მერიის ადმინისტრაციისა და საქალაქო სამსახურების ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. დედაქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებითვე, თბილისის გამგეობებს დაევალა, 2014 წლის 25 ოქტომბრამდე უზრუნველყონ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. აგრეთვე, რეკომენდაცია მიეცათ თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირებს, არასამეწარმეო (არაკომეციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100% წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოებს, 2014 წლის 25 ოქტომბრამდე უზრუნველყონ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია.

სხდომაზე, ასევე, დამტკიცდა თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია, რომელსაც თბილისის მერის პირველი მოადგილე, ვიცე-მერი ალექსანდრე მარგიშვილი უხელმძღვანელებს. კომისიის შემადგენლობაში შედიან ქონების მართვის სააგენტოს, იურიდიული, არქიტექტურის, კეთილმოწყობის, ზედამხედველობის, ეკოლოგიისა და გამწვანების, შიდა აუდიტის და მონიტორინგის საქალაქო სამსახურების უფროსები, აგრეთვე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები, საგადასახადო ომბუდსმენი და სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ დირექტორის მოადგილე.

# შალვა ნათელაშვილი: „ხელისუფლება უფასო სასწრაფო დახმარების ნგრევას იწყებს“

შორენა გონგლაძე



– მნიშვნელობა არა აქვს, რით მოსპობ ადამიანს, ავტომატით, ცოცხითა თუ უწამლობით. ივანიშვილის რეჟიმმა ამ დანაშაულებრივი გადაწყვეტილებით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი პოლიტმკვლელთა გალერეაში, ადამიანებს წაერთვათ საშუალება, ჰიპერტონიული კრიზისის, ალერგიული შოკის, არითმიის დროს მომენტალურად გადაირჩინონ სიცოცხლე! – ეს განცხადება ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. შალვა ნათელაშვილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების ახალი წესის შემოღებასაც ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლება უფასო სასწრაფო დახმარების ნგრევას იწყებს.

– წამლებზე სარეცეპტო გენოციდის შემდეგ ივანიშვილის მართვადი მილიონერთა კლუბი უკვე იწყებს უფასო სასწრაფო დახმარების დანგრევას, რომელიც ლეიბორისტებმა 10 წლის წინ თავგანწირული ბრძოლით დავაკანონეთ. – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

მისი თქმით, მომზადებული გეგმით სასწრაფო დახმარების ბრიგადის ადგილზე გასვლას განსაზღვრავს არა პაციენტი და ავადმყოფობა, არამედ ოპერატორ-დისპეტჩერი თავისი გონივრული გადაწყვეტილებით. ამ წესის შემოღება ნიშნავს ადამიანების განზრახ, მასობრივ, ორგანიზებულ მკვლელობასა და განსაცდელში მიტოვებას.

– ვაფრთხილებთ მილიონერთა მთავრობას, ხელი აიღონ ამ დანაშაულებრივ განზრახვებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ დავიწყებთ სამართლებრივი პოლიტიკური და მასობრივი პროტესტის ყველა ფორმის გამოყენებას, ხოლო მათ ეს ავანტიურა დაუმთავრდებათ უაღრესად სავალალოდ. – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

პირველი ლეიბორისტი ახალი რეგულაციებით უკმაყოფილოა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწოდებს, შეაჩეროს ეს „უკანონობა“.

– მე მოვუწოდებ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ გადამალა ბათუმში, სასწრაფოდ შეაჩერონ აღნიშნული კანონების მოქმედება და დაუყოვნებლივ რიგგარეშე წესით დაიწყონ ჩვენ მიერ ამ თემაზე შეტანილი კონსტიტუციური სარჩელის განხილვა, რათა ადამიანებს დროზე დაუბრუნდეთ სიცოცხლის დაცვის წართმეული უფლება. – აცხადებს შალვა ნათელაშვილი.

# ბარაქ ობამა ტალინში ჩავიდა



აშშ-ის პრეზიდენტი ობამა ესტონეთის დედაქალაქში ჩავიდა. ტალინში ის ესტონეთის პრეზიდენტ ილვესს, ლატვიის პრეზიდენტ ბერზინშსა და ლიტვის პრეზიდენტ გრიბასკაიტეს შეხვდება.

– ობამას ვიზიტი არის გზავნილი პუტინისათვის, რომ აშშ მათ რუსეთის აგრესიის საფრთხისაგან დაიცავს. – იუწყება რადიო „თავისუფლება“.

ტალინში აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ნატოს უელსის სამიტზე იგეგმება სწრაფი რეაგირების კორპუსის შექმნა, რათა ალიანსის წევრების დაცვა რაც შეიძლება ეფექტურად განხორციელდეს. აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ნატომ ყველაფერი უნდა იღონოს საიმისოდ, რათა უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას თავდაცვის პოტენციალი გაიზარდოს. ობამა უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე დაწვრილებით შეჩერდა. მან კრემლის პოლიტიკას კიევის მიმართ ნაცისტური უწოდა.

– რუსეთს ეს ძალიან ძვირად დაუჯდება! – თქვა ობამამ.

**ნიკა თევზაძე**

# რუსეთი ყაზახეთის საზღვრებთან სამხედრო წვრთნებს იწყებს



ალტაიში, ყაზახეთის საზღვართან, რუსეთი სამხედრო სწავლებას იწყებს. ასეთი რეაქცია მოჰყვა ვლადიმერ პუტინის სიტყვებს: ტერიტორიაზე, სადაც თანამედროვე ყაზახეთია განთავსებული, სახელმწიფო არასოდეს არსებულა.

მანამდე ვლადიმერ ჟირინოვსკიმ თავისი ტელეგამოსვლაში აღნიშნა, რომ ყაზახეთში ანტირუსული განწყობა ძლიერდება.

ჟირინოვსკის გამოსვლას ყაზახეთში ყურადღება არავინ მიაქცია. ის, რომ ვლადიმერ ვოლფოვიჩი ტაკიმასხარაა, ყველამ იცის. რაც შეეხება პუტინის გამოსვლას, მას მწვავე რეაგირება მოჰყვა. ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო განცხადება გააკეთა, ხოლო ასტანაში სტუდენტების მიტინგი ჩატარდა

– პუტინმა ისტორია ცუდად იცის. გაუგზავნეთ მას სახელმძღვანელოები, რათა თუნდაც ელემენტარული ცოდნა მაინც მიიღოს. – ითქვა მიტინგზე.

**ნიკა თევზაძე**

# საპარტნიორო ფონდის წლიური აუდიტი დასრულდა

## საპარტნიორო ფონდის ყველა ფინანსური პარამეტრი გაუმჯობესებულია



საპარტნიორო ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების 2013 წლის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, მათი ყველა ფინანსური მონაცემი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, გაზრდილი ფინანსური მაჩვენებელი ხელს შეუწყობს ფონდს და მის შვილობილ კომპანიებს, უფრო მეტი პროექტი განახორციელონ ქვეყნის მასშტაბით.

„ჩვენ ძირითადად მსხვილ პროექტებს ვახორციელებთ, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ვფიქრობ, ყველა მიმართულებით ფონდის გაუმჯობესებული მონაცემები მოგვცემს საშუალებას, რომ ყველა ჩვენთვის პრიორიტეტული პროექტი დავაფინანსოთ“, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

2013 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, ფონდის მოგებამ შეადგინა 73 მილიონ 569 ათასი ლარი, რაც თითქმის 8%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. მთლიანმა შემოსავლებმა 979 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო ჯამური აქტივები კი 3%ით გაიზარდა და 5 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, საპარტნიორო ფონდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში „ძალიან კარგი მაჩვენებელია.“ „ფონდის და მისი შვილობილების კონსოლიდირებულმა მაჩვენებელმა 1 მლრდ ლარს მიაღწია“, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

2013 წლის ფინანსური ანგარიში შეამოწმა საერთაშორისო აუდიტორთა დიდი ოთხეულის წევრმა აუდიტორულმა კომპანიამ KPMG-მ, რომლის დასკვნითაც ფონდის ფინანსური ანგარიში სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

2013 წლის ანგარიშში შესულია საპარტნიორო ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების, მათ შორის „საქართველოს რკინიგზის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, „ელექტროსისტემების კომერციული ოპერატორისა“ და „თელასის“ ფინანსური მონაცემები.

# გუდაურის ხელოვნური გათოვლიანება იგეგმება



„გუდაურის განვითარების სააგენტოს“წარმომადგენლები გუდაურის მოსახლეობასა და სასტუმროების მფლობელებს შეხვდნენ და მათ დეტალურად გააცნეს ინფორმაცია ხელოვნური გათოვლიანების სისტემის, მისი მნიშვნელობისა და მომავალი შედეგების შესახებ.

ალექსანდრე ონოფრიშვილმა გუდაურის განვითარების სააგენტოს მომავალ გეგმებზეც ისაუბრა და აღნიშნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვითაც მთავრობა ბაკურიანისა და გუდაურის კურორტების განვითარების პროექტს ახორციელებს.

„ჩვენ მოსახლეობასა და სასტუმროების მფლობელებს მივაწოდეთ ინფორმაცია, თუ რა დივიდენდები შეუძლია მოუტანოს კურორტს ხელოვნური გათოვლიანების სისტემამ და ზოგადად, გუდაურის განვითარების პროექტმა“, – განაცხადა „გუდაურის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელმა, სანდრო ონოფრიშვილმა.

ხელოვნური გათოვლიანების შედეგად სეზონის გახსნა და ხანგრძლივობა აღარ იქნება დამოკიდებული ამინდზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორების რაოდენობასა და სასტუმროების დატვირთვას.

„მოხარული ვართ ამ სიახლით. ძალიან დიდი წინსვლაა კურორტისთვის, რომ გაკეთდება გათოვლიანების სისტემა, სეზონი გაიხსნება ფიქსირებულ დღეს და აღარ ვიქნებით დამოკიდებული ამინდზე. ეს ჩვენი სასტუმროსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ველოდებით ტურისტების რაოდენობის მატებას“ – აღნიშნა სასტუმრო „მარკო პოლოს“ მფლობელმა მაია კოკაიამ.

პირველ ეტაპზე გათოვლიანდება გუდაურის პირველი ტრასა, რაც, სპორტსმენების განცხადებით, ხელს შეუწყობს კურორტზე როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული მოთხილამურეების რიცხვის გაზრდას.

„შეხვედრაზე ძალიან ბევრ სასარგებლო სიახლეზე იყო საუბარი. მათ შორის მსურს გამოვყო ხელოვნურად გათოვლიანების პროექტი, რომელიც ორ წელიწადში დასრულდება. წელს მოთხილამურეებს შესაძლებლობა მოგვეცემა ხელოვნური თოვლით დაფარული პირველი ტრასა გავტესტოთ“, – განაცხადა მოთხილამურე კოტე გაბრიჩიძემ.

გუდაურისა და ბაკურიანის სათხილამურო ტრასების ხელოვნური გათოვლიანებისთვის 25 მილიონამდე ინვესტიცია განხორციელდება, რის შედეგადაც სათხილამურო სეზონი 5 თვემდე გახანგრძლივდება. აშენდება წყლის ხელოვნური რეზერვუარები, შესრულდება გეოლოგიური, გეოდეზიური და ტოპოგრაფიული სამუშაოები. გაიზრდება ტურისტების რაოდენობა და ასევე საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების საინვესტიციო მიმზიდველობა. პროექტი 2015 წელს დასრულდება.

**მედიანიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2014, 5 სექტემბერი, №210

# პუტინი უკრაინას კაპიტულაციას სთავაზობს

## დონბასს რუსული ოკუპაცია ემუქრება

**— მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. — ეს ინფორმაცია პრეზიდენტ პოროშენკოს პრესსამსახურმა გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ უკრაინის ლიდერი თავის რუს კოლეგას დაუკავშირდა და ხანგრძლივი საუბრის შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს.**

**— რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურმა აღნიშნული ინფორმაცია უარყო. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.**

**პუტინის თანაშემწე პესკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის პრეზიდენტების სატელეფონო საუბარი მართლაც შედგა, მაგრამ რაიმე შეთანხმებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, თუმცა ხაზი გაუსვა იმას, რომ პუტინი და პოროშენკო პრობლემის გადაჭრის გზებს ერთნაირად ხედავენ.**

**— დონბასში კი საომარი მოქმედებები გრძელდება. — იტყობინება ტელეკომპანია მეხუთე არხი.**



AFP/RIA (RFE/RL Graphics)

### ბრძოლები არ წყდება

— ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საუბარი თავის მოტყუებაა! პუტინი ამაზე არ წავა! რადგან რუსეთის პრეზიდენტმა ომი დაიწყო, მანამ არ მოისვენებს, სანამ მისთვის სასურველ შედეგს არ მიაღწევს ან არ დამარცხდება. — განაცხადა უნაუნსოს ერთ ერთმა ლიდერმა იგორ მაზურმა.

4 სექტემბერს დონბასში საომარი მოქმედებები გრძელდებოდა. რუსული არმია და სეპარატისტები შეტევას განაგრძობდნენ. რუსი ჯარისკაცების დახმარებით სეპარატისტებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტის დაკავება შეძლეს. დღეისათვის რუსები ლუგანსკის ოლქის მთელ სამხრეთ ნაწილს აკონტროლებენ. დაიწყო დონეცკის აეროპორტის შტურმი. მალე საიტმა „რუსკაია ვესნამ“ შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა:



BBC

— ნოვოროსიის არმიამ დონეცკის აეროპორტი დაიკავა!

აღნიშნული ცნობა რუსულმა ტელეარხებმა უმალ აიტაცეს, თუმცა მალე გამოირკვა, რომ ეს მორიგი ბლეფი იყო. აეროპორტში გამაგრებულმა უკრაინელმა ჯარისკაცებმა თავდამსხმელებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. შედეგად მოკლულია 50-მდე რუსი ჯარისკაცი. მტერმა უკან დაიხია.

— ჩვენ დონეცკის აეროპორტის შტურმს აღარ განვახორციელებთ, — განაცხადა „დონეცკის რესპუბლიკის“ ლიდერმა ზახარჩენკომ, — იქ გამაგრებულ უკრაინელ ჯარისკაცებს აქედან გაღწევის არანაირი შანსი აღარ დარჩათ. მაქსიმუმ ორი-სამი თვე გაძლონ, ამის შემდეგ შიმშილით სული ამოხდებათ!

ლუგანსკის აეროპორტი უკრაინულმა არმიამ ცხარე ბრძოლების შემდეგ დატოვა. აეროპორტისაგან ნანგრევებიღა დარჩა. რადიო „თავისუფლების“ ცნობით ლუგანსკის აეროპორტზე იერიშისას 70 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. რუსეთის ჯარისკაცთა დედების კომიტეტის ერთ-ერთი ლიდერი ვასილიევა ამტკიცებს: დონბასში მიმდინარე ბრძოლებისას უკვე 2 000-მდე რუსი ჯარისკაცია მოკლული.

— შესაძლოა, ეს ციფრი ცოტათი გაზვიადებულია, მაგრამ ფაქტი ერთია: რუსეთი უკრაინაში გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. მსხვერპლიც დიდია. — ამბობს ბორის ნემცოვი.

4 სექტემბერს რუსულმა არმიამ ქალაქ სჩასტიეს დაკავება ცადა. იქ გამაგრებულმა უკრაინელმა მეომრებმა თავდამსხმელებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ქალაქის ქუჩებში ნამდვილი ომი გაიმართა. იერიში მოგერიებულ იქნა. ორმხრივი სროლების შედეგად არიან მოკლულები და დაჭრილები. უამრავი სახლი დაინგრა, დაიღუპა არაერთი მშვიდობიანი მოქალაქე. მიუხედავად ამისა უკრაინელებმა სჩასტიე შეინარჩუნეს. უკრაინელები აკონტროლებენ მარიუპოლსაც. ადგილობრივმა მოსახლეობამ კატეგორიულად განაცხადა, რუსებს ქალაქში არ შემოვუშვებთო.

— მარიუპოლი უკრაინის განუყოფელი ნაწილია! — ამბობენ ისინი.

ასევე ამაო გამოდგა სეპარატისტების მცდელობა, დაეკავებინათ დასახლებული პუნქტი ვოლნოვახა. იერიში მოგერიებულ იქნა. დონბასელ ტერორისტებს რუსი ჯარისკაცების დახმარებამაც არ უშველა. ვოლნოვახაზე კვლავ უკრაინული დროშა ფრიალებს. უკრაინელებმა შეინარჩუნეს აგრეთვე კონტროლი ტრასაზე დონეცკი-მარიუპოლი.

### პუტინის წინადადება

ამასობაში ვლადიმერ პუტინმა კონფლიქტის მოგვარების საკუთარი გეგმა წარმოადგინა. ის შვიდი პუნქტისაგან შედგება. თუკი აქამდე რუსეთის პრეზიდენტი კატეგორიულად მოითხოვდა, უკრაინამ „დონეცკისა და ლიუგანსკის რესპუბლიკები“ აღიაროსო, ახლა ვითარება შეიცვალა. პუტინმა განაცხადა, რომ დონბასელი მოლაშქრეები დონეცკ-ლუგანსკის მიმართულებით აქტიურ საომარ მოქმედებებს შეწყვეტენ, მაგრამ უკრაინულმა არმიამ მაგიერში დიდი ქალაქების საარტილერიო დაბომბვა უნდა შეწყვიტოს და ჯარი გაიყვანოს.

— ჯარი ქალაქებს 40 კმ-ზე უნდა დაშორდეს, რათა საარტილერიო დაბომბვები შეუძლებელი გახდეს. — მოითხოვს პუტინი.

აღნიშნული წინადადების მიღება სეპარატისტებისათვის მოზრდილი ტერიტორიის ჩაბარებას ნიშნავს ანუ თუკი დღეს უკრაინა დონბასის 70 პროცენტს აკონტროლებს, რუსეთის პრეზიდენტის გეგმის მიღების შემთხვევაში ეს ციფრი 50-მდე შემცირდება. პუტინი აცხადებს, რომ აქ წესრიგის დაცვას საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ, თუმცა ბევრი ვარაუდობს, რომ სინამდვილეში ეს ასე არ იქნება.

— ამ ტერიტორიას რუსული არმია დაიკავებს. — თვლის პოლიტოლოგი ტარანი.

რუსეთის პრეზიდენტი აგრეთვე ამტკიცებს, რომ უნდა გაკეთდეს ჰუმანიტარული კორიდორი, რათა ომით გაპარტახებულ დონბასში რუსეთიდან ჰუმანიტარული დახმარება დაუბრკოლებლად შევიდეს, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ლტოლვილების დაბრუნება. უნდა მოხდეს სასიცოცხლოდ აუცილებელი ინფრასტრუქტურის აღდგენა და ა.შ.

— ფაქტობრივად, პუტინმა კაპიტულაციის პირობები წამოგვიყენა. — თვლის პოლიტოლოგი ტარანი.

### რაზე შეთანხმდნენ პუტინი და პოროშენკო?

უკრაინელი ექსპერტები ერთხმად ამტკიცებენ, რომ პუტინ-პოროშენკოს შორის რაღაც შეთანხმება უკვე მოხდა, გამოიკვეთა კონტურები დროებითი ზავის თაობაზე. დღეს ეს ორივეს ჰაერივით სჭირდება. პუტინს სურს, დაკავებულ ტერიტორიებზე გამაგრდეს და შემდგომი შეტევებისათვის მოემზადოს. პოროშენკომ კი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩაატაროს, ახალი, მისთვის მისაღები მთავრობა შექმნას, ძალოვან სტრუქტურებში რეორგანიზაცია განახორციელოს და პირადი კონტროლის ქვეშ მოაქციოს.

— სეპარატისტები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაითრიონ, რასაც შემდეგ ახალი შეტევის პლაცდარმად გამოიყენებენ. — ამტკიცებს ტარანი.

თავის ტელეინტერვიუში პეტრო პოროშენკომ აღნიშნა, რომ დღეს უმთავრესია მშვიდობის დამყარება. უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სისხლისღვრა დონბასში უნდა შეწყდეს.

— ამ საკითხის გარშემო ჩემსა და რუსეთის პრეზიდენტს შორის ერთგვარი ურთიერთგაგება გამოიკვეთა! — განაცხადა მან.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მინსკში საკონტაქტო ჯგუფების შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებს.

— ჩემი აზრით, ეს შეხვედრა დონბასში მშვიდობის დამყარებას ხელს შეუწყობს. — თქვა პრეზიდენტმა. ამით მან, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ მასსა და პუტინს შორის აქტიური მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობს, გარკვეული შეთანხმებების კონტურებიც გამოიკვეთა:

— პოროშენკოს უჭირს. მისი არმია უკან იხევს, ამიტომ სამშვიდობო შეთანხმების დადება ეროვნულ ინტერესების დათმობის გარეშე ვერ მოხერხდება. — აღნიშნავს რადიო „თავისუფლების“ ექსპერტი ფიოდოროვი.

### მინსკის შეხვედრის შედეგად სტაბილური მშვიდობა ვერ დამყარდება

უკრაინა დღეს მძიმე მდგომარეობაშია, ხაზინა ცარიელია, გრივნა ეცემა, უმუშევრობა იზრდება. არის სერიოზული საფრთხე იმისა, რომ ამ ზამთარში ქვეყანა გაზის გარეშე დარჩება. ამას საზოგადოებაში არსებული დაპირისპირებაც ერთვის. არმიის ერთი ნაწილი მეორეს ღალატს სდებს ბრალად. პოლიტიკურ წრეებშიც ინტრიგები გრძელდება. კონსენსუსი მხოლოდ ორი საკითხის გარშემო არსებობს: პირველი ევროინტეგრაციაა, რომელსაც მხარს უკვე 77 პროცენტი უჭერს, მეორე კი — დონბასზე კიევის კონტროლის აღდგენა, რასაც მოსახლეობის 66 პროცენტი ემხრობა.

— პუტინი უკრაინას კაპიტულაციას სთავაზობს, მაგრამ უკრაინელი საზოგადოებისთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პრემიერმა იაცენიუკმაც რუსეთის პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმა უარყო. ფაქტობრივად, იაცენიუკის გამოსვლა პუტინის გეგმაზე ოფიციალური კიევის პირველი რეაქცია იყო. ჟურნალისტებთან საუბარში იაცენიუკმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს, თავი მშვიდობისმყოფელად წარმოაჩინოს, რათა ახალი სანქციები თავიდან აიცილოს. თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური მონაცემებისა, უკრაინელთა, 66 პროცენტი დონბასზე კიევის იურისდიქციის აღდგენის მომხრეა და ომის გაგრძელებისათვის მზად არის. ასეთი განწყობა დომინირებს კიევსა (79 პროცენტი) და ლვოვში (84 პროცენტი). შედარებით დაბალი მაჩვენებელია დნეპროპეტროვსკში (55 პროცენტი), ოდესაში (52 პროცენტი), თუმცა უმრავლესობა იქაც ომის გაგრძელებისათვის მზადაა. შეკითხვაზე, მზად ხართ თუ არა, იარაღი აისხათ და ფრონტზე წახვიდეთ, უკრაინელთა 42-მა პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა.

— ამრიგად, პოროშენკო-პუტინის სამშვიდობო გეგმის მიღება ძალზე გაჭირდება. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მინსკის შეხვედრა ხანგრძლივ მშვიდობას ვერ უზრუნველყოფს, რადგანაც ის ვერ გადაჭრის პრობლემას. როგორც რუსეთი, ისე უკრაინა ბოლომდე დაკმაყოფილებულნი ვერ იქნებიან. უკრაინას თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სურს, რუსეთი კი „ნოვოროსიის“ შექმნისათვის იბრძვის, რაც უკრაინის დაქუცმაცებას ნიშნავს.

— მაქსიმუმ, რისი მიღწევაც მინსკში მოხერხდება, ეს დროებითი დაზავებაა. კონფლიქტი „გაყინულ“ მდგომარეობაში გადავა და მალე ახალი ძალით იფეთქებს. — თვლის რადიო „თავისუფლება“.

### დასავლეთი ნელ-ნელა აქტიურდება

5 სექტემბერს დონბასში საომარი მოქმედებების ინტენსიურობა დაეცა. სეპარატისტები და რუსი სამხედროები უკრაინულ ქვეგანაყოფებს თავს ნაკლებად ესხმოდნენ. ცხარე ბრძოლებს ადგილი ჰქონდათ მხოლოდ სტანიცა ლუგანსკაიასთან და ლუგუტინოსთან. ორმხრივი სროლების შედეგად კვლავ არის მსხვერპლი. დონბასის სხვა დასახლებულ პუნქტებში შედარებით სიმშვიდეა. სამაგიეროდ, გრძელდებოდა რუსეთის ტერიტორიიდან უკრაინელი სამხედროებისათვის ცეცხლის გახსნა. უკრაინელები ჯერჯერობით საპასუხო ცეცხლის გახსნაზე თავს იკავებენ.

რუსი ექსპერტების პროგნოზი დონბასში ბლიც-კრიკის თაობაზე არ გამართლდა. თვით ფორმირების პროცესში მყოფმა უკრაინულმა არმიამაც კი მტერს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. შედეგიც სახეზეა: უკრაინა დონბასის 70 პროცენტს აკონტროლებს, უკრაინული დროშა ფრიალებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქ მარიუპოლზე, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია. ყოველივე ამან დასავლეთის რეაქციაც განაპირობა:

— დასავლეთს ჩვენთან კონფრონტაცია მაინცდამაინც არ სურს, მაგრამ შოვინისტური იდეებით გაბრუებული უკრაინელი ახალგაზრდები ფარხმალის დაყრას არ აპირებენ, ეს კი ჩვენს არაკეთილმოსურნეებს დასავლეთში გარკვეულ კოზირს აძლევს. — იტყობინება რუსული პროპაგანდის რუპორი „რაშა თუდეი“.

დასავლეთი ნელ-ნელა აქტიურდება. ევროპა რუსეთის მიმართ სანქციების მორიგი ეტაპის დაწყებას დათანხმდა. საფრანგეთმა მილიარდიან კონტრაქტზე უარი თქვა და რუსეთისათვის მისტრალების მიწოდებაზე თავი შეიკავა. უკრაინის საკითხი ნატოს უელსის სამიტზე ცენტრალური იქნება. დასავლეთში უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ უკრაინელებისათვის იარაღის მიწოდებაა აუცილებელი. კრემლი პასუხად იმუქრება. რუსეთის არმიის გენშტაბის მთავარ ინსპექტორ იაკუბოვის განცხადებით, ფაქტობრივად, დამთავრებულია ახალი სამხედრო დოქტრინის შემუშავება, რომელშიც აშშ მტრულ სახელმწიფოდაა გამოცხადებული და რუსეთიც იტოვებს უფლებას, ამერიკას პერმანენტული ბირთვული დარტყმები მიაყენოს. რუსეთი თავის ნაცად იარაღზე, მუქარაზე, გადადის.

— რუსეთ-დასავლეთს შორის უფსკრული სულ უფრო ღრმავდება და ეს უკრაინის გამო მოხდა. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

უელსის სამიტი გარკვეულწილად პასუხს გასცემს კითხვაზე, თუ რა მიმართულებით განვითარდება შემდგომი მოვლენები.

**ნიკა თევზაძე**


## განცხადებები

● გთავაზობთ სამსახურს ფიტოთერაპიულ კაბინეტში ფიტოთერაპიით დაინტერესებულ პირებს, მუშაობის თავისუფალი გრაფიკით, ვისაც შეუძლია საგაზეთო რეკლამებით პაციენტების მოზიდვა და პრეპარატების შერჩევა-შეთავაზება (ტრენინგების გავლის შემდეგ). ტელ: 592-25-38-26; 557-14-22-36 ნინო.

● 1) „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, აგრესიულობა, უძილობა, ნევროზები, „თეთრი ცხელება — მკურნალობა მცენარეული, უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით (პაციენტისგან ფარულად შესაძლებელია საკვებში შერევა). 2) თამბაქოს გადაგდება - მცენარეული ნაყენებით. 3) იმპოტენცია, სქესობრივი ლტოლვის მომატება და სხვა მამაკაცური პრობლემები — შედეგი დაიწყება 4-5 დღეში. საბოლოო შედეგი გარანტირებულია 2-4 კვირაში — მხოლოდ მცენარეული და ექსკლუზიური პრეპარატებით. 555-45-13-45 599-02-11-46. მიღება წინასწარი ჩაწერით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული სპეციალისტი.

● ქართული სატაძრო მედიცინის რეცეპტურით, ქარხნული წარმოების მცენარეული პრეპარატებით გთავაზობთ რთულად განკურნებადი დაავადებების მკურნალობას, როგორიცაა: ფსორიაზი, ეგზემა — გარანტირებული შედეგით, მარილები, ნიკრისის ქარი (პოდაგრა) — პრეპარატს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია, ძვალსახსროვანი, კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა, შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები, მათ შორის (კენჭები თირკმელში), იმპოტენცია, სქესობრივი პოტენციის მომატება, ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, სიგარეტის გადაგდება და სხვა. მოგემსახურებიან სერთიფიცირებული ექიმები. ტელ: 557-14-22-36; 592-25-38-26. ჩაწერა წინასწარ.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს მეტოქეები ევროშესარჩევისთვის ემზადებიან

7 სექტემბერს ევრო-2016-ის შესარჩევი ციკლის სტარტზე საქართველოს ნაკრები ირლანდიას ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე" უმასპინძლებს. მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

მანამდე ირლანდიის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა რეპეტიცია გამართა და დუბლინში, „ავივა სთედიუმზე", ამხანაგური მატჩი ომანის ნაკრებთან ჩაატარა.

„სამყურებმა" 2:0 გაიმარჯვეს და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მილერი დაასახელეს.

ირლანდიელებმა ანგარიში მე-20 წუთზე გახსნეს, როდესაც მილერის მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ, ბურთს მიმართულება ბრეიდიმ შეუცვალა და დოილმა ზუსტად დაარტყა – 1:0.

82-ე წუთზე, კუთხური უკვე ბრეიდიმ მოაწოდა და ცენტრალურმა მცველმა პირსმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:0.

ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

გივენი (ელიოტი 46), მილერი (მერფი 85), კეო, პირსი, უორდი, პილკინგტონი (მაკგიდი 59), ქუინი, გიბსონი (ველანი 70), ბრეიდი, ჰოლოჰანი (კინი 59), დოილი (ლონგი 59).

ამხანაგური მატჩი გამართა ჩვენი ჯგუფის მთავარმა ფავორიტმა, გერმანიის ნაკრებმაც, რომელმაც შინ არგენტინას უმასპინძლა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის რიმეიქი ამჯერად არგენტინელთა გამარჯვებით დასრულდა – 4:2.

შესანიშნავად ითამაშა ანხელ დი მარიამ, რომელმაც მუნდიალის ფინალი ტრავმის გამო გამოტოვა. დი მარიამ სამი საგოლე პასი გააკეთა და ბოლოს თავადაც გაიტანა.

პირველ ნახევარში ანხელმა სერხიო აგუეროსა და ერიკ ლამელას გაატანინა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში, 48-ე წუთზე, ფედერიკო ფერნანდესს გაუკეთა საგოლე პასი, ხოლო 2 წუთში თავადაც მოახერხა გატანა.

იოაჰიმ ლიოვის შეგირდებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ გამანადგურებელი ანგარიშით არ წააგეს შეხვედრა. 52-ე წუთზე ანდრე შურლემ გაიტანა, ხოლო საბოლოო ანგარიში, მუნდიალის ფინალის მსგავსად, მარიო გიოტცემ დააფიქსირა – 2:4.

გერმანია: ნოიერი (ვაიდენფელერი 46), ჰიოვედესი (რიუდიგერი 77), გინტერი, დურმი, გროსკროიცი, კროოსი (რუდი 71), კრამერი, დრაქსლერი (პოდოლსკი 33), როისი, შურლე (მიულერი 58), გომესი (გიოტცე 58).

# ოტმარ ჰიტცფელდი: „თავს პენსიონერად არ ვთვლი"

შვეიცარიის ნაკრებისა და „ბაიერნის" ლეგენდარულმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა გასული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შთამბეჭდავი სამწვრთნელო კარიერა დაასრულა და პენსიაზე გავიდა.

გთავაზობთ ინტერვიუს „გენერალთან", სადაც ჰიტცფელდი ბუნდესლიგის ახალ სეზონში მოსალოდნელ ბატალიებზე და გასულ მსოფლიო პირველობაზე საუბრობს.



***– როგორ არის პენსიაზე გასული ოტმარ ჰიტცფელდი?***

– საქმიანობას მთლიანად არ ჩამოვშორებულვარ, საფეხბურთო ექსპერტად ვაგრძელებ მუშაობას „სკაის" ტელეარხზე. თავს პენსიონერად არ ვთვლი და, ამავდროულად, არანაირად არ ვნანობ ჩემ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სამწვრთნელო კარიერის დასრულების შესახებ.

***– უშუალოდ მოედანზე გატარებული ამდენი წლის შემდეგ მოგწონთ ფეხბურთის ყურება სახლში, თქვენი სავარძლიდან?***

– თავიდან გამიჭირდა, როდესაც ფეხბურთს ვუყურებდი და არავითარ სტრესს არ განვიცდიდი. ეს, როგორც მინიმუმ, არადამახასიათებელია და იმის მიუხედავად, რომ კარიერის დამთავრების შემდეგ ამ დრომდე არაერთ მატჩს ვუყურე, ჩემი თვალებიდან გასული მსოფლიო ჩემპიონატი მაინც არ ამოდის.

***– მალე ბუნდესჩემპიონობისთვის დაიწყება მთავარი ბრძოლა, სადაც გვარდიოლა-კლოპის დუელს ვიხილავთ. მუნდიალზე გერმანიის ნაკრების მიერ მიღწეული ტრიუმფის შემდეგ რა თავისებურებებია მოსალოდნელი საკლუბო სეზონში?***

– თითქმის ყველა ტოპ-გუნდის მწვრთნელმა იცის, თუ როგორი ძნელია მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული ტრიუმფის შემდეგ ფეხბურთელებისთვის უწინდელი მოტივაციის დაბრუნება. ორივე მათგანს ახალ სეზონში გუნდურ სულისკვეთებაზე გაცილებით ბევრი მუშაობა მოუწევს, ვიდრე ჩვეულებრივ.

***– „ბაიერნი" ახალ სეზონშიც ფავორიტია?***

– ბუნდესლიგის გუნდთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალ სეზონს ბოლომდე მომზადებული ხვდება, მაშინ როდესაც „ბაიერნი" დამახასიათებელი ტონუსისგან შორს არის. როგორც ბუნდესლიგის რიგითი გულშემატკივარი, ვიმედოვნებ, რომ მოახლოებული ახალი სეზონი ძალიან საინტერესო იქნება, რამდენადაც, „ბაიერნი" არ არის აბსოლუტურ მზადყოფნაში, ეს კი შანსია ისეთი გუნდებისთვის, როგორებიც „ბაიერი", „ვოლფსბურგი", „შალკე", „დორტმუნდი" და „გლადბახი" არიან. დორტმუნდელებს ყველანაირი შესაძლებლობა ეძლევათ იმისათვის, რომ „ბაიერნს" ღირსეული კონკურენცია გაუწიონ და მიუნხენელი კოლეგები ანერვიულონ. „ბორუსიას" აქვს იმის სურვილი, რომ „ბაიერნს" „აწყენინოს" და ასეთმა სიტუაციამ შეიძლება არა მხოლოდ ერთი, კონკრეტული მატჩის ბედი გადაწყვიტოს, არამედ მთელი გათამაშების.

***– უკანასკნელი კვირების მანძილზე „ბაიერნსა" და „ბორუსიას" შორის კონფლიქტი კვლავ წარმოიშვა.***

– „ბაიერნისადმი" პრეტენზიების არ მესმის. აბსოლუტურად ლოგიკურია მათი სწრაფვა საუკეთესო ფეხბურთელების დამატებისკენ, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელებს საუკეთესო გუნდში სურთ თამაში.

***– შეიძლება თუ არა იმაზე საუბარი, რომ გერმანიის მიერ მუნდიალის მოგებით, მსოფლიო ფეხბურთში „ბუნდესტიმის" ჰეგემონია იწყება?***

– მრავალი წელია, გერმანიის ნაკრები, იოახიმ ლიოვის თავკაცობით, ძალიან აგრესიულ და შემტევ ფეხბურთს აჩვენებს. ამას გარდა, მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატება, ბოლოსდაბოლოს, დაცვაში დალაგებული თამაშის ხარჯზე შედგა. გერმანიაში ბევრი ტალანტური და ამავდროულად, ტაქტიკურ-ტექნიკურად განსწავლული ფეხბურთელები იზრდებიან. ეროვნულ ნაკრებში მათმა შთამბეჭდავმა ინტეგრაციამ შესაძლოა საფეხბურთო ეპოქა შექმნას. ამიტომაც, კმაყოფილი ვარ, რომ ლიოვი ნაკრებში მუშაობას აგრძელებს და, დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ნაკრების წარმატებული სერიაც ამით არ შემოფარგლულა. „ბუნდესტიმს" წინ კიდევ არაერთი ტრიუმფი ელის.

# ჩიხურას მორიგი ჯარიმა გამოუწერეს




ევროპალიგაზე „ნეფთჩისა" და „ჩიხურას" მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი ყველას გახსოვთ. ბაქოში „ქართული სპორტის ქომაგებმა" ტრიბუნაზე გამოფინეს ბანერი, რომელზეც საქართველო 1921 წლის საზღვრებში იყო გამოსახული და, ცხადია, ზაქათალა და კახი ჩვენს ტერიტორიებად იყო აღბეჭდილი.

ამ ფაქტმა მაშინ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და საქმეში ორივე ქვეყნის ხელისუფლება ჩაერია, ხოლო ქომაგებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან მოუხდათ შეხვედრა.

ამ ფაქტის გამო უეფამ იმერული კლუბი 15.000 ევროთი დააჯარიმა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე უეფამ „ჩიხურა" 10.000 ევროთი „ბურსასფორთან" თბილისურ მატჩში გულშემატკივრების მიერ ნაცისტური ჟესტებისა და ბანერის გამო დააჯარიმეს. ასე რომ, ზემოიმერულმა კლუბმა გულშემატკივრების გამო, ჯამში, 25.000 ევრო გაილო.

# 19-წლამდელებმა სლოვაკეთში წააგეს

**სლოვაკეთი – საქართველო 1:0**

**1:0 ვესტენიცკი (14)**

**სლოვაკეთი:** ჟუნასი, ჩვატალი, კრუჟლიაკი, ვარგა, კუპეცი, ჰრომანდა, ლესნიაკი, შპალეკი (კადლეცი 90), ჰარასლინი (კაჩერი 46), ჩმელიკი (მატეჟკა 66), ვესტენიცკი

**საქართველო:** ქურდაძე, გელაშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე, კილასონია (მოხევიშვილი 53), კიტეიშვილი, ხარაიშვილი (კაპ) (ჯაფიაშვილი 73), ხორხელი (კიკნაძე 53), შულაია (მალანია 61), შერაზადიშვილი (გოშთელიანი 66), ბერიძე

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა სლოვაკეთის ქალაქ პოპრადში მასპინძელთა ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა მინიმალური ანგარიშით 0:1 დათმო.

მასპინძლებმა ანგარიში მალევე გახსნეს – მე-14 წუთზე, საჯარიმო დარტყმით გოლი ტომაშ ვესტენიცკიმ გაიტანა. როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ამ მატჩში გატანილი ერთადერთი გოლი. გიორგი დევდარიანის ფეხბურთელებმა ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს.

ამ ასაკში სლოვაკეთს საკმაოდ კარგი ნაკრები ჰყავს. გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები იუვენტუსში, რომაში, ტოტენჰემში, ფულჰემში, პარმაში ირიცხებიან. 17-წლამდე ასაკში კი ეს გუნდი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი და მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალისტია. ასე რომ, სპარინგ-პარტნიორად ღირსეული მეტოქე გვყავდა.

გიორგი დევდარიანმა სულ ოთხი ცვლილება გამოიყენა და ნაკრების დებიუტანტი – ლადო მოხევიშვილიც (ლევანტე, ესპანეთი) იხილა საქმეში.

5 სექტემბერს სენეცში საქართველოს 19-წლამდე ნაკრები მეორე ამხანაგურ მატჩს არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებთან გამართავს.

# მინისტრმა ძიუდოისტები დააფასა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონ ავთანდილ ჭრიკიშვილს, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ – დავით ქევხიშვილს, ნაკრების მწვრთნელ – ირაკლი უზნაძეს, ეროვნული გუნდის წევრებსა და ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში გამართულ შეხვედრას მინისტრის მოადგილე – აკაკი ლოდია, სპორტის დეპარტამენტის უფროსი – ირაკლი დოლაბერიძე, ჟურნალისტები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატიდან 1 ოქროს, 2 ბრინჯაოსა და ასევე გუნდურ შეჯიბრში მოპოვებული 1 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

25-31 აგვისტოს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ოქროს მედლის მოპოვება 81 კგ. წონით კატეგორიაში ავთანდილ ჭრიკიშვილმა შეძლო, 2 ბრინჯაოს მედალი აიღეს ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ), გუნდურ შეჯიბრში კი საქართველოს ნაკრებმა მე-3 საპრიზო ადგილი ბრაზილიის ნაკრების 3:2 დამარცხებით მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის შემდეგ საქართველოს სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო ჩემპიონი აღარ ჰყოლია და ავთანდილ ჭრიკიშვილის მიღწევა ამ მხრივაც გამორჩეულია. ჭრიკიშვილმა 2014 წელს ევროპის ჩემპიონის და ასევე რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის ტიტულიც მოიპოვა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე, ყველაზე პრესტიჟული, მძიმე წონითი კატეგორიის ფინალური შეხვედრა, ქართველმა მსაჯმა – ვლადიმერ ნუცუბიძემ იმსაჯა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ჩიჩარიტო რეალის გულშემატკივარ ოჯახში გაიზარდა

მექსიკელი ფეხბურთელი ხავიერ ერნანდესი მომავალ სეზონს ესპანეთში გაატარებს. „ჩიჩარიტო" ინგლისური „მანჩესტერიდან" იჯარით გადავიდა მადრიდის „რეალში".

გუნდმა მექსიკელი გულშემატკივრებს წარუდგინა და ფეხბურთელმაც უკვე გამართა პრესკონფერენცია.

**ჩიჩარიტო:**

– მოხარული ვარ, „რეალში" გადმოსვლით და ძალებს არ დავიშურებ ამ კლუბის დასახმარებლად. არ არსებობს მსოფლიოში ფეხბურთელი, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ უოცნებია „რეალის" ფორმის მორგებაზე და „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშზე. რა თქმა უნდა, არც მე ვარ გამონაკლისი და მზად ვარ, კლუბს ვემსახურო. ბედნიერი ვარ მადრიდში მოსვლით და მზად ვარ, კლუბს ტიტულების მოგებაში დავეხმარო.

მექსიკაში „რეალს" ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და მეც ერთ-ერთ ასეთ ოჯახში გავიზარდე. მართალია, აქ არენდით მოვედი, მაგრამ მჯერა, რომ ჩემს შესაძლებლობებს კარგად გამოვავლენ და კლუბი დამიტოვებს.

დღეს უკვე „რეალის" ფეხბურთელი ვარ და ეს ჩემი ყველა დიდი გამოწვევა გახლავთ ცხოვრებაში. მე აქ ვარ და მინდა მქონდეს წარმატებული წელი, რადგან ვიცი ზეწოლა დიდია, ჩემგან მაქსიმუმს მოითხოვენ და იმედების გაცრუების დრო ნამდვილად არ მექნება. ამ კლუბს ერთ-ერთი საუკეთესო ქომაგი ჰყავს, რომელიც ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვს შენგან. „რეალი", ალბათ, ყველაზე დიდი კლუბია და ადაპტაციის გავლა არ უნდა გამიჭირდეს.

ვიცოდი, სად მოვდიოდი და ვიცოდი, რას ითხოვდნენ, სწორედ ამიტომ დავთანხმდი მადრიდში გადმოსვლას. მე იღბლიანი ვარ, რადგან ისეთმა კლუბმა დამიმატა, როგორიც მადრიდის „რეალია". მე მიყვარს ფეხბურთის თამაში და ვეცდები, ეს იდეალურად გავაკეთო.

რა თქმა უნდა, ეს ჩემი ოცნება იყო. მე არ ვიცნობ არც ერთ ფეხბურთელს, რომელიც არ ოცნებობს სამეფო კლუბში თამაშზე.

სადებიუტო გოლი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ უკეთესი იქნება ეს სადებიუტო მატჩში თუ მოხდება. მე კარგად ვიცნობ კრიშტიანუს და ვიცი, რა შეუძლია მას. ვიცი, რომ „რეალს" ბენზემას და ხესეს სახით დიდებული ფორვარდები ჰყავს, მაგრამ მათ თუ მე დამიმატეს, ე.ი. ვჭირდები. სწორედ ამიტომ მზად ვარ, კლუბს ვემსახურო 100 პროცენტით.

უკვე ვესაუბრე ანჩელოტის და მან ყველაფერი ამიხსნა. მე მისი მადლობელი ვარ, რადგან, რომ არა ის, ახლა მე აქ არ ვიქნებოდი.

ვიცი, არ ვარ იდეალური, რადგან ყოველთვის ვცდილობ, რაღაც ახალი ვისწავლო. სრულყოფილება არ არსებობს, მაგრამ სრულყოფილებასთან მიახლოებული უნდა იყო. ენთუზიაზმით ვარ განწყობილი და ვიმედოვნებ, ტიტულებს მოვიგებ.

ბედნიერი ვარ აქ გადმოსვლით. ეს კლუბი წინსვლაში დამეხმარება. ასევე მე უნდა დავეხმარო კლუბს ტიტულების მოგებაში. მექსიკიდან არაერთი მოლოცვა მივიღე და ძალიან გამიხარდა, რადგან მათ ყოველთვის ვახსოვარ. მადლობა ყველას, ჰალა მადრიდ.

# ზესტაფონს სლოვაკები სტუმრობდნენ

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" პრესსამსახურის ცნობით, იმერეთს სლოვაკეთიდან სტუმრები ეწვივნენ – საქართველოში არაოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ტრნავას საფეხბურთო კლუბ „სპარტაკის" ვიცეპრეზიდენტი ზორან ტერზიჩი.

ვიზიტის მსვლელობისას სტუმარი გაეცნო „ზესტაფონის" ინფრასტრუქტურას და ესტუმრა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე იმერული კლუბის მშენებარე ბაზას. დაიგეგმა ქართული დელეგაციის საპასუხო ვიზიტი სლოვაკეთში, რომელიც უახლოეს პერიოდში შედგება.

აქვე უნდა ითქვას, რომ მხარეებმა გამოთქვეს დაინტერესება იმერულ კლუბსა და ტრნავას „სპარტაკს" შორის სამომავლო ურთიერთობათა გაღრმავების საკითხში. ეს თემა განხილვის საგანი ზესტაფონელთა სლოვაკეთში ვიზიტისას გახდება.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მიანმა-პალესტინა | 4:1 |
| ფილიპინები-ტაიპეი | 5:1 |
| რუსეთი-აზერბაიჯანი | 4:0 |
| ლიტვა-საემიროები | 1:1 |
| უკრაინა-მოლდოვა | 1:0 |
| ლატვია-სომხეთი | 2:0 |
| დანია-თურქეთი | 1:2 |
| ჩეხეთი-აშშ | 0:1 |
| გერმანია-არგენტინა | 2:4 |
| ირლანდია-ომანი | 2:0 |
| ინგლისი-ნორვეგია | 1:0 |
| მაროკო-ყატარი | 0:0 |
| კოსტა რიკა-ნიკარაგუა | 3:0 |
| ჰონდურასი-ბელიზი | 2:0 |
| სალვადორი-გვატემალა | 1:2 |

### ეჩ-2015. შესარჩევი ეტაპი (21)

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ისრაელი | 3:0 |
| ლატვია-ხორვატია | 1:3 |
| სლოვენია-ანდორა | 5:0 |
| დანია-რუსეთი | 4:2 |
| ესტონეთი-ბულგარეთი | 2:2 |
| ისლანდია-სომხეთი | 4:0 |

### აშშ. მლს

| | |
|---|---|
| ფილადელფია-ტორონტო | 1:0 |
| ნიუ ინგლანდი-კანზასი | 3:1 |
| ჩივასი-სიეტლი | 2:4 |

## კალათბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ავსტრალია-მექსიკა | 70:62 |
| ფილიპინები-პუერტო რიკო | 73:77 |
| ა.ზელანდია-უკრაინა | 71:63 |
| ეგვიპტე-ირანი | 73:88 |
| სენეგალი-არგენტინა | 46:81 |
| ალოვენია-ანგოლა | 93:87 |
| თურქეთი-ფინეთი | 77:73(ოტ) |
| სერბეთი-ბრაზილია | 73:81 |
| საბერძნეთი-ხორვატია | 76:65 |
| ლიტვა-ს.კორეა | 79:49 |
| დომინიკანები-აშშ | 71:106 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 88:64 |

## ჩოგბურთი

### ამერიკის ღია პირველობა

### ქალები

| | |
|---|---|
| ს.უილიამსი-პენეტა | 6:3;6:2 |
| ჯოკოვიჩი-მიურეი | 7:6;6:7;6:2;6:4 |

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის განკურნება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

კალეიდოსკოპი





## ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის განმარტოება 200 ათასი ღირს

გასული თვის ბოლოს დაქორწინებულმა ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა გადაწყვიტეს, რომ თაფლობის თვე განმარტოებით გაატარონ. ამისთვის წყვილმა მალტის კუნძულ გოცოს მცხოვრებთ თხოვნით მიმართა, რათა მათ დროებით დაეტოვებინათ თავიანთი სახლები. ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელთაც ჰოლივუდის ვარსკვლავებმა ამისთვის 200 ათასი დოლარი გადაუხადეს, მათ წინადადებას დათანხმდნენ და დროებით კუნძული დატოვეს.

კუნძულის მცხოვრებლები გაგებით მოეკიდნენ ჯოლისა და პიტის განმარტოების სურვილს. მათმა უმრავლესობამ თავიანთი სახლების დატოვების სანაცვლოდ გარკვეული ანაზღაურება მიიღეს, მხოლოდ უცნობია, თუ რა ვადით მოუწევთ მათ საკუთარი სახლების დატოვება.

როგორც ცნობილი გახდა, კუნძულზე ჩასულ ვარსკვლავურ წყვილს თავად კუნძულზე ბინა არ უქირავებია და ისინი დროს კუნძულის სანაპიროსთან ღუზაჩაშვებულ იახტაზე ატარებენ. კუნძულ გოცოზე ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი არა მხოლოდ დასვენებას, არამედ მუშაობასაც გეგმავენ. ისინი კინოსურათის „ზღვასთან“ გადაღების დაწყებას აპირებენ, რომელშიც მსახიობები 2005 წელს გადაღებული ფილმის „მისტერ და მისის სმიტების“ შემდეგ ერთად პირველად ითამაშებენ. კუნძული გოცო მალტის არქიპელაგის სიდიდით რიგით მეორე კუნძულია (მალტის კუნძულის შემდეგ). მისი ფართობი 67 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.



## მანგუსტმა ლომებს აჯობა

წყლის მანგუსტმა, რომელიც კენიის ეროვნულ პარკ მასაი მარაში ბინადრობს, ოთხი ახალგაზრდა ლომის თავდასხმის მოგერიება შეძლო. ეს შემთხვევა ჯერ კიდევ 2011 წელს მოხდა და ვიდეოზე იქნა გადაღებული, თუმცა მისმა ავტორმა სოციალურ ქსელებში მხოლოდ ახლახან განათავსა. ერთი დღის განმავლობაში ის თითქმის 300 ათასმა მომხმარებელმა ნახა.

მანგუსტი მტაცებლებთან ბრძოლაში მას შემდეგ ჩაება, როდესაც ლომები მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ამ შერკინების დროს მან მხოლოდ მცირე ხნით შეაფარა თავის საკუთარ სოროს, თუმცა მოგვიანებით ლომების იქიდან განდევნა მოახერხა. მან ისიც კი შეძლო, რომ ერთ-ერთ ლომს უკბინა. ვიდეოჩანაწერის ავტორია ჟერომ გიიომო, რომელსაც იუთუბის არხზე გარეულ ცხოველებზე გადაცემა მიჰყავს. წყლის მანგუსტები განმარტოებულად ბინადრობენ და საკუთარ ტერიტორიას სუნის დახმარებით ნიშნავენ. ჩვეულებრივ ისინი წყალსატევების მახლობლად ცხოვრობენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

სპორტი

## კლდის მეფის ტიტულისთვის ვახტანგ ქადარია იბრძოლებს

ერთი ერთზე ქუჩის კალათბურთში ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მსოფლიო ფინალზე საქართველოს სახელის დასაცავად ვახტანგ ქადარია გაემგზავრა.

აღნიშნული ტურნირის საქართველოს რეგიონული ჩემპიონატის გამარჯვებული სწორედ ვახტანგ ქადარიაა, რომელმაც შესარჩევი ეტაპი ჩვენს ქვეყანაში ზედიზედ მეორედ მოიგო.

მსოფლიო ფინალი წელს ტაივანში, სამასანას ციხეში გაიმართება, სადაც თავს 26 ქვეყნის წარმომადგენელი მოიყრის. გასულ წლებში ფინალური ეტაპი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სახელგანთქმულ ალკატრასის ციხეში იმართებოდა, სადაც მონაწილეობა 2 ქართველს მიუღია. 2012 ვატო თევზაძემ იასპარეზა და პლეი ოფში ვერ გავიდა, ხოლო გასულ, 2013 წელს ვახტანგ ქადარიამ მეოთხედფინალს მიაღწია, სადაც ბოლო წამზე 1 ქულის სხვაობით დამარცხდა მომავალ ფინალისტთან.

წლეულს საქართველოს ტურნირი 4 ეტაპად გაიმართა. შესარჩევი ტურნირები თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში ჩატარდა. ფინალურ ტურნირს, შარშანდელის მსგავსად, ახალციხემ, კონკრეტულად კი რაბათის ციხესიმაგრემ უმასპინძლა, სადაც ქადარიამ ფინალში მიხეილ ჭოჭუას 15:11 მოუგო და ტაივანში გასამართი მსოფლიო ფინალის საგზური მოიპოვა.

ქადარიასთან ერთად ტაივანში გაემგზავრა აზერბაიჯანის გამარჯვებული, საქართველოს სუპერლიგის გუნდ „ქუთაისში“ მოთამაშე ზაურ ფაშაევი. აზერბაიჯანი საქართველოსთან და სომხეთთან ერთად კომპანია „რედბულის“ კავკასიის რეგიონშია გაერთიანებული, რომლის ღონისძიებათა მენეჯერი ბექა გოლეთიანიც აზერბაიჯანელ და ქართველ კალათბურთელებს ტაივანში გაჰყვა.

„სამასანას“ ციხეში ტურნირი 6 აგვისტოს გაიმართება. გამარჯვებულს „კლდის მეფის“ მსოფლიო ტიტული და სოლიდური ფულადი პრემია ერგება.

## ფუტსალის ნაკრები შეკრებას იწყებს

საქართველოს ფუტსალის ნაკრები 2014 წლის 15 და 17 სექტემბერს ეროვნული ნაკრები ყაზახეთის ეროვნულ გუნდთან ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

ნაკრების მწვრთნელმა ალიკ სარქისიანმა შეკრებაზე, რომელიც 8 სექტემბერს დაიწყება, 21 ფეხბურთელი გამოიძახა. მათგან ნაკრების უფროსი მწვრთნელი 14 საუკეთესოს შეარჩევს. ნაკრებს, ყაზახეთის გარდა, კიდევ ორი ტესტ-მატჩი აქვს დაგეგმილი. მათგან პირველი ევროპის ერთ-ერთ უძლიერესი გუნდი პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებია, მეორე გუნდის ვინაობა კი ჯერჯერობით უცნობია.

მეკარეები: ჯაბა ჯამბურია (ნეფტჩი, აზერბაიჯანი) და თორნიკე ბუკია (იბერია სტარი);

მოთამაშეები: შოთა ჭანუყვაძე, არჩილ სებისკვერაძე, ზურაბ ლუკავა (ყველა ნეფტჩი, აზერბაიჯანი), კახაბერ მაისაია, დავით ბობოხიძე (ეკოლი, აზერბაიჯანი), რონი (ხაზარი, აზერბაიჯანი), ირაკლი შელეგია (თელასი), შოთა თოფურია (სეუ), გიორგი პირველი (სტუ), ალექსანდრე ძაბირაძე, მურთაზ კაკაბაძე, გიორგი ტიკურიშვილი, გოგა ალთუნაშვილი, ვახტანგ ჯვარაშვილი, გიორგი თიბილაშვილი, ლევან კობაიძე და გიორგი ნიკვაშვილი (ყველა იბერია სტარი).

*მ. ჟ.*

საზოგადოება

# სამხატვრო აკადემიის სტუდენტები აქციებს იწყებენ

*ეკა ირემაშვილი*

**5 სექტემბერს სამხატვრო აკადემიის სტუდენტები კულტურის სამინისტროსთან აქციას გამართავენ. სტუდენტები ითხოვენ მინისტრის ბრძანებაში სამხატვრო აკადემიის დებულებაში შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც რექტორის თანამდებობის დაკავებას ეხება. „სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მოვითხოვთ სასწრაფოდ შეიცვალოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, ბატონი მიხეილ გიორგაძის „ბრძანება“ სამხატვრო აკადემიის დებულებაში შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და არღვევს ადამიანის უფლებებს!**

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის №05/89 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რექტორის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც უკავია პროფესორის აკადემიური თანამდებობა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომლის მიმართულებაც შეესაბამება აკადემიასა და მის ფაკულტეტებზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს.“

მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით უხეშად ირღვევა სწორედ კონკურენციისა და თანასწორობის პრინციპი. კერძოდ, მუხლი იმპერატიულად ადგენს იმ ვიწრო წრეს, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს რექტორის არჩევნებში, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს იმას, რომ უკიდურესად იზღუდება კონკურსში მონაწილე პირთა წრე, რაც თავისთავად ქმნის არაჯანსაღი კონკურენციის საშიშროებას და უხეშად არღვევს თანასწორობის პრინციპს.

საქართველოს კონსტიტუციით ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კონსტიტუციის 29-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, დაადგინოს სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის გონივრული პირობები და გაუმართლებლად არ შეზღუდოს მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში, განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.“

სამხატვრო აკადემიის სტუდენტები საპროტესტო აქციებს ეტაპობრივად მართავენ და ისინი აკადემიაში არსებული ვითარების შეცვლას მოითხოვენ. სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ნატა ნებიერიძე ამბობს, რომ სიახლეების და ცვლილებები სამხატვრო აკადემიაში ჰაერივით აუცილებელია:

– ჩვენ, სტუდენტებს მიგვაჩნია, რომ სამხატვრო აკადემიაში პრობლემებია და ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა არის მოსაგვარებელი და რატომ. წლებია სამხატვრო აკადემიაში მიმდინარეობს საპროტესტო მოძრაობები, იქმნება საპროტესტო ჯგუფები, სხვადასხვა ფორმით გამოიხატება სტუდენტების პროტესტი. 90-იანი წლებიდან თითქმის ყოველ წელს სტუდენტების ახალი ტალღა იწყებს საუბარს პრობლემებზე, სვამს კითხვებს, თუმცა პრობლემა რჩება და 90-იანი წლებიდან აკადემიაში თითქმის არაფერი შეცვლილა. საზოგადოებისთვის აკადემია არის მნიშვნელოვანი ადგილი, არა მარტო თავისი ფუნქციით, არამედ თავისი როლითაც და ჩვენ ყველას გვჭირდება იმის გააზრება, თუ რა როლი უნდა ჰქონდეს სამხატვრო აკადემიას და როგორი ახალგაზრდობა უნდა გამოუშვას მან ყოველწლიურად თავისი სხეულიდან. ჩვენი აზრით, აკადემია თავის ფუნქციას ვერ ასრულებს იმის გამო, რომ დღესაც აკადემიაში შემორჩენილია მიდგომა, რომ აკადემიაში უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ აკადემიური მხატვრობა, ან ძირითადი უნდა იყოს აკადემიური მხატვრობა და ამით ხელოვანს შეუძლია თავისი კარიერული განვითარება განაგრძოს. ფაქტია, რომ ეს დღეს ველარ მუშაობს, მხოლოდ კარგი ხატვით, ან მხოლოდ კარგი პორტრეტის შესრულებით, ხელოვანი ვერ იფუნქციონირებს, ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს არქიტექტურა, რამეთუ ტექნიკური უნარების შესწავლით მხოლოდ არქიტექტორი ვერ იქნები, იქნება ეს დიზაინი თუ მოდა. ყველაზე მთავარი, რაც სამხატვრო აკადემიას აკლია, ეს არის ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს თანამედროვე ხელოვნება იქნება ეს არქიტექტურა, დიზაინი თუ სხვა მიმართულება. ყველაფერი ხელოვნების განვითარებაში იწყება სახვითი ხელოვნებიდან, იმიტომ რომ მთავარი, რასაც შემოაქვს სიახლე, ინტერპრეტაცია, გადააზრება და ახალი ხედვა, ეს მოდის სახვითი ხელოვნებიდან, ყველაზე სტრატეგიული ადგილი აკადემიაში უნდა იყოს სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, რომელიც ყველაზე ცუდად მუშაობს დღეს. ეს გამოიხატება ძალიან ბევრ რამეში, თუნდაც იმაში, რომ თავისუფალი შემოქმედებითი სივრცე არ არის. XXI საუკუნეში აკადემიაში სტუდენტებს ეძლევათ იგივე მოცემულობები, იგივე დავალებები, რაც თუნდაც ხდებოდა 20-30 წლის წინ. არ მომხდარა მთლიანად გადაფასება როგორც აკადემიის მხრიდან, ასევე კულტურის სამინისტროს მხრიდან, რა უნდა შეიცვალოს და როგორ უნდა შეიცვალოს. ეს ხელოვნება არ არის ლოკალური, არც ფოლკლორი, რომელიც მხოლოდ ქართულ ტრადიციებს შეიძლება მხოლოდ დაეყრდნოს, ან საბჭოთა ტრადიციებს, რასაც სამხატვრო აკადემია ეფუძნება, ეს არის საერთაშორისო მოვლენა, აკადემია ვალდებულია, მით უმეტეს სახელმწიფო სასწავლებელი თავისი პროგრამით მოამზადოს ისეთი სტუდენტები, ვინც შემდეგ საერთაშორისო დონეზე იქნება წარმატებული და რეალიზებული ხელოვანი. რომ ჰკითხოთ აკადემიის ლექტორებს, ყველას არა, რა თქმა უნდა, და ადმინისტარაციას გეტყვიან, რომ აქედან წასული სტუდენტები დიდი წარმატებით სარგებლობენ. ეს აკადემიის „ბრალი“ არაა, რომ აკადემია იძლევა ამას. ეს თითოეული ინდივიდუალური ადამიანის დამსახურებაა, რომელმაც მართლა თავიანთი ძალისხმევის ხარჯზე მიაღწიეს იმას, რომ წარმატებულები არიან საზღვარგარეთ, ამაში აკადემია მათ ნაკლებად უწყობს ხელს, პირიქით, აკადემია ზღუდავს ძალიან ბევრ რამეში ხელოვანს და არ აძლევს მას საშუალებას, რომ იპოვოს თავისი შემოქმედებითი ენა განავითაროს კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი ხედვა, შემოიტანოს რაღაც ახალი ხელოვნებაში. საუბარი უნდა დავიწყოთ მისაღები გამოცდებით. მისაღები გამოცდების დონე ძალიან დაბალია აკადემიაში, ეს იმის ბრალია, რომ აკადემიაში მოხვედრა უნდა ყველას, ისეთ სტუდენტებსაც, რომლებსაც სწავლა არ უნდათ, იმიტომ აბარებენ რომ ყველამ იცის, აკადემიაში სწავლა არ არის. კონკურსი არის ძალიან მარტივი, ერთი ნატურმორტის დაზეპირებით ყველას შეუძლია გახდეს აკადემიის სტუდენტი, ამის გამო ძალიან ხშირად ლექტორებისგან ისმის კომენტარები, რაზე უნდა ველაპარაკო, როცა ფანქრის დაჭერა არ იცის ხელშიო. აკადემიის ვალია, რომ ასეთი მოუმზადებელი და გაუაზრებელი სტუდენტი, რომელსაც არ აქვს გათვითცნობიერებული რატომ უნდა მოვიდეს აკადემიაში და როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი გახდეს ხელოვანი, არ მიიღოს. სამწუხაროდ, სტუდენტების დიდი ნაწილი თამაშში ატარებს სწავლის 4 წელს აკადემიაში. შემდეგი პრობლემაა სწავლების პროცესი. პირველ რიგში ეს არის ლექტორების და სტუდენტების ურთიერთობა. არიან კარგი ლექტორები, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისთანაც სტუდენტები საერთოდ არც უნდა შედიოდნენ. მათ დღესაც ჰგონიათ, რომ სტუდენტი არის ცარიელი ადგილი, რომელსაც თავში რაღაც უნდა ჩაუდო, მათ ტექსტებში ეს საკმაოდ ხშირად ისმის. ურთიერთობაში ეს ძალიან მძიმედ აისახება. რაც უშუალოდ სწავლის პროცესს შეეხება, არ არის ეს მიმართული შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე, თეორიული საგნების გავლისას, რა თქმა უნდა, გამონაკლისები არსებობს და კიდევ კარგი რომ არსებობს, ამ საგნებზე არ ხდება არანაირი ანალიზი, უბრალოდ არის თეორიის გაცნობა, წლები, სახელები, თანმიმდევრობა, მაგრამ რომელიმე მხატვარი რატომ აკეთებდა ასეთ ნამუშევრებს და რამ აიძულა გამოხატვის ასეთ ხერხებამდე მისულიყო, ამაზე ლაპარაკი თითქმის არ არის. ძალიან სუსტია თანამედროვე ხელოვნების ისტორიის შესწავლა, სულ რამდენიმე ლექტორს აქვს ამის შესაძლებლობა, რომ ასწავლოს თანამედროვე ხელოვნება და მოხდეს ამის გააზრება. მთავარი პრობლემა არის გააზრება, ანალიზი, კრიტიკული ხედვის ჩამოყალიბება და თვითონ უშუალოდ ნამუშევრების შექმნის თავისუფლება შემოქმედებით პროცესში, რაც გამოიხატება იმაში, რომ დავალებული გაქვს ნატურმორტის დახატვა, მერე უნდა ისწავლო ცხვირის ხატვა, ტუჩის ხატვა, ბოლოს შეიძლება პორტრეტამდეც მიხვიდე, მაგრამ ეს ყველაფერი რაში უნდა გამოიყენო, რისთვის აკეთებ, ამაზე ლაპარაკი თითქმის არასდროს არის.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 2. ვრცელი მიდამოს ხედი ზემოდან; 3. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 5. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 7. გერმანელი კომპოზიტორი, ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ მუსიკის ავტორი; 9. ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც ომში დამარცხებული ქვეყანა უხდიდა გამარჯვებულს; 13. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 15. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული გარეული ინდაური; 16. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 18. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

**თარაზულად**: 4. ბავშვთა ექიმი; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრებით მიღებული პროდუქცია; 10. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 11. უნგრული ნაგაზი; 12. ფარული დაცინვა; 14. პოეტი-მომღერალი მუსლიმანურ ქვეყნებში; 17. ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 19. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან კონიაკი; 20. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 21. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. შეზღუდული გონების, ფარისევლური ქცევის, მეწვრილმანე ადამიანი; 23. მუსლიმანთა რელიგიური დღესასწაული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლიდო; 2. ბრუკი; 3. ხაიამი; 5. ოხორი; 6. დილიჟანი; 8. ტროპოსფერო; 10. აზნაური; 12. „აირზენა“; 14. უოლესი; 15. დოფინი; 16. ფლეში.

**თარაზულად:** 1. ლარები; 4. ჰოკაიდო; 9. მწნილი; 11. ფორმოზა; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. „სკონტო“; 18. „პელე“; 19. ინტელექტი; 20. ბოლივუდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პალანგა; 2. იუდოფილი; 3. პრობსტი; 5. შვეიცარი; 7. თავხედი; 9. რევოკაცია; 13. ლიბრეტო; 15. მცხეთა; 16. სტამბა; 18. გრილი.

**თარაზულად:** 4. კაბოშონი; 6. კრუზეირო; 8. კამბეჩოვანი; 10. წახნაგი; 11. ვატი; 12. მდოგვი; 14. ხმალი; 17. „ბასფი“; 19. ლხინი; 20. იმბეცილი; 21. არვე; 22. ბაღდავაძე; 23. ვიმპელი.

# პიტიახშ-ერისთავთა კომპლექსის კვლევა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 1950 წლის შემდეგ, პირველად განახლდა და დაიწყო ეროვნული მნიშნელობის არქეოლოგიური ძეგლის პიტიახშ-ერისთავთა კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა და პირველი გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

— ამ დრომდე პიტიახშ-ერისთავთა კომპლექსი მისი საზოგადოებრივად აქტიური ლოკაციის მიუხედავად, ბოქლომს მიღმა იმალებოდა და დამთვალიერებლისთვის უცნობი რჩებოდა ქვეყნის და ამ ზოგადსაკაცობრიობო ძეგლის ისტორია და მნიშვნელობა. პიტიახშ-ერისთავთა კომპლექსის დაცვის, გადარჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ რამდენიმე თვის წინ, ძეგლის ეტაპობრივი განახლების გეგმა შეიმუშავა. ადგილზე ფიზიკური სამუშაოები ორი დღის წინ დაიწყო. პროექტი ორი მიმართულებით ხორციელდება. ეროვნული სააგენტო ერთი მხრივ აფინანსებს ეროვნულ მუზეუმს — პიტიახშ-ერისთავთა კომპლექსის არქეოლოგიური კვლევისთვის და მეორე მხრივ ადგილზე მუშაობს არქიტექტორ-რესტავრატორი მიხეილ გელაშვილი, რომელიც წლის ბოლომდე განახორციელებს აბანოს კონსერვაციას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მთავარი პრიორიტეტების თანახმად, ქართლის (იბერიის) სამეფოს ერთ-ერთი სამხედრო-პოლიტიკური და სახელისუფლებო ცენტრი, ყველაზე უძველესი და უმსხვილესი არქეოლოგიური ძეგლი სათანადოდ მოვლილი და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება, — აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე.

# ანრი ჯოხაძე კოქტეილ ფართის აწყობს

ეკა ირემაშვილი



მომღერალი ანრი ჯოხაძე 6 სექტემბერს კოქტეილ ფართის აწყობს, რომელიც „ჯინო ფერედაისში" გაიმართება. ანრისთან ერთად საღამოში მონაწილეობას მიიღებს „ჯინოს" რეზიდენტი დი ჯეი ბალუ. კონცერტზე მოეწყობა კოქტეილ-ფართი, გათამაშებები, სადაც გამარჯვებულები მოიგებენ საჩუქრებისა და პრიზების. კონცერტზე მისული მაყურებლის განკარგულებაშია ტალღოვანი ღია აუზი, დახურული სარელაქსაციო აუზი და ჯაკუზები, ასევე ბარი, ღამის გართობა და დასვენება მეგობრებთან ერთად. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 39 ლარია.

„ამოდი „ჯინოში" 6 სექტემბერს და დაისვენე, გაერთე, ისიამოვნე! გავაცილოთ ზაფხული ანრი ჯოხაძესთან ერთად," — ასეთია კონცერტის დევიზი. ანრი ჯოხაძე, რომელიც ახლა დიეტაზეა და 1200 კალორიით 120 კილოს დაგდებას ცდილობს, ჯინოში თავისი რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერების შესრულებას და ბოლომდე ამოქოქვას აპირებს.

ამის მიზეზი ანრის იმ გამოკითხვამ მისცა, რომელიც სოციალურ ქსელში ჩატარდა. კითხვაზე „თქვენი აზრით, ვინ არის საქართველოში ნომერ პირველი მამაკაცი მომღერალი?" უმეტესობამ სწორედ ანრი ჯოხაძე დაასახელა, მეორე ადგილზე გავიდა მერაბ სეფაშვილი, ნომინანტთა სიაში მოხვდა თემურ წიკლაურიც.

„მეამა! დიდი მადლობა, პირველობა ცოტა აბსტრაქტულია, მაგრამ ზოგადად მომღერალმა რომ რეიტინგი შეინარჩუნო, მუდმივად უნდა მუშაობდე და სიახლეს სთავაზობდე მსმენელს, თუმცა ხალხის სიყვარულს მოიპოვებენ ერთეულები. მადლობა კიდევ ერთხელ," — ამბობს მომღერალი.

ანრი ჯოხაძე ქველმოქმდებისთვისაც ხშირად მღერის, სხვადასხვა შოუებსა და პროექტებშიც მონაწილეობს, კლიპებსაც იღებს, ახალ სიმღერებსაც წერს და როგორც მომღერალი, არანაირად არ დუნდება. ერთ-ერთი ბოლო საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც ანრიმ მიიღო მონაწილეობა ანტალიაში ჩატარდა. მომღერალმა სიცოცხლის გადარჩენას უმღერა. როგორც პროექტის ორგანიზატორებმა განმარტეს, „საზოგადოებრივი აქტიურობა საკმაოდ იყო, უბრალოდ ბილეთების შესყიდვის ინტერვალი იყო ცოტა. ბილეთი ღირდა ერთი ადამიანის შემთხვევაში 512 დოლარი, ორი ადამიანის შემთხვევაში 912 დოლარი. ეს იყო ერთკვირიანი ტურნე თავისი ფრენით, ჭამა სმით და გართობით. ტურნე ბოლო დღეს ანრიმ დახურა." შემოსული თანხა სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა ფონდში გადაირიცხა.

# ქეთი დოლიძე: „ქართულ თეატრს ასეთი წარმატება არ მოუპოვებია"

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შემსრულებლო ხელოვნების სრულყოფილებისათვის მიიღო თუმანიშვილის თეატრმა, — განაცხადა ქეთი დოლიძემ.

ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა" კინომსახიობთა თეატრში ცნობილმა ბრიტანელმა რეჟისორმა გაი მასტერსონმა დადგა. როგორც მაშინ ექთი დოლიძე აცხადებდა, „რეჟისორი გაი მასტერსონი ორუელის „ცხოველების ფერმის" დასადგმელად მოვიწვიეთ. იმისთვის რომ კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარში „ცხოველების ფერმა" ყოფილიყო, უცხოელი რეჟისორის მოწვევა ნამდვილად არ დამჭირდებოდა, ქართველსაც დავაკავებდი. ეს საჭირო გახდა, იმიტომ, რომ მაკინტოშის კომპანიას ორუელის ოჯახთან ხუთი წლით აქვს შეთანხმება დადებული, რომ „ცხოველების ფერმის" დადგმის უფლება მაკინტოშის გარდა არავის აქვს. ჩვენ მოვიპოვეთ უფლება, რომ „ცხოველების ფერმა" დადგას ბრიტანელმა და მათმა საყვარელმა რეჟისორმა გაი მასტერსონმა, იმისთვის, რომ შემდეგ სპექტაკლი ედინბურგის ფესტივალზე წავიდეს. ძალიან დიდი პროექტია, რომელშიც კულტურის სამინისტრო ჩავრთე. ახლა უცბად აღმოჩნდა, რომ სპექტაკლის დასადგმელი ფული არის, მაგრამ წასასვლელი არა. ეს არ შეიძლება! სამმაგად ტყუვდებიან, ორუელის ოჯახი, რომლებმაც მთლიანად მოგვცეს საავტორო უფლება, გაი მასტერსონი და დარბაზი, რომელიც ერთი თვის მანძილზე გაცდება და ამას არავინ გვაპატიებს. ჩვენ უკვე ვზივართ პროგრამაში და ბილეთების გაყიდვა დაიწყო. მსოფლიოში უკვე ყველგან, სიტყვიერი თანხმობა იმის საწინდარია, რომ რაღაც უნდა გაკეთდეს. დიდი კომპანიებიც კი ხანდახან ტელეფონით



ელაპარაკებიან და საქმეებს ასე წყვეტენ. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ თანხმობა ოფიციალურად არ მოუციათ. შესაბამისად, ვცდილობთ კულტურის სამინისტრო დავარწმუნოთ".

ქეთი დოლიძემ ნამდვილად მოახერხა კულტურის სამინისტროს დარწმუნება, სპექტაკლიც დადგა, ედინბურგის ფესტივალზეც წავიდა და დიდი წარმატებას მოიპოვა.

— ეს პროექტი ედინბურგის ფესტივალისთვის გაკეთდა, ბილეთების გაყიდვა აპრილიდან დაიწყო და მერე ავტომატურად მიდის ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში! ეს სპექტაკლი ედინბურგის ესემბლი ფესტივალის, ფესტივალის „საჩუქარი" და თუმანიშვილის თეატრის ერთობლივი თანა-პროდუქციაა. მოსამზადებელი სამუშაოები ორველის სახლთან ერთად დაიწყო, რეპეტიციები და სპექტაკლის წარმოება კი მაისის თვეში დაიგეგმა. სპექტაკლის საერთაშორისო პრემიერა წლევანდელ ედინბურგის ფესტივალზე „ჯორჯ სქვეარ თეატრის" დიდ დარბაზში გაიმართა. წინმსწრები ჩვენებები კი ჰოსორნ თეატრში, ჰერსფორშერის საგრაფოში, ინგლისში, დიდ ბრიტანეთში და თუმანიშვილის თეატრში. თბილისში მხოლოდ სამი სპექტაკლი ვითამაშეთ, იმიტომ რომ მეტის უფლება არ გვქონდა. ეს იყო მათი მოთხოვნა, ვინც საავტორო უფლებას ფლობს. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალი „საჩუქარი" ამაყობს, რომ საერთაშორისო თანაწარმოების და თანამშრომლობის პროექტი „ცხოველების ფერმა" ქართული თეატრის მსოფლიო მასშტაბით რეალურ ინტეგრირებას შეუწყობს ხელს და მსგავსი სახის ინიციატივებს წაახალისებს საქართველოში. მსოფლიო თეატრისა და შოუბიზნესის ლეგენდა სერ კამერუნ მაკენტოში, რომელიც ლონდონის შაფტსბერი ავენიუდან ნიუ იორკის ბროდვეიმდე თეატრების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობს და მსოფლიოში გახმაურებული კომედიების მფლობელია, 2015 წლიდან გეგმავს „ცხოველების ფერმა" მათ რიგს მიამატოს. შესაბამისად წყდება ლიცენზირება ამ პიესისა და განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მისი განხორციელება. მხოლოდ ორუელის სახლის გადაწყვეტილებით და ჩვენს საერთაშორისო პროექტში ტექსტის ადაპტაციის ავტორის, გაი მასტერსონის უშუალო მონაწილეობისა გამო, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი ერთადერთი ლიცენზიანტი გახდა „ცხოველების ფერმა" მსოფლიო თეატრალურ ასპარეზზე წარედგინა, რომლის წარმატებაც მიხეილ თუმანიშვილის ლეგენდარული დასის ღონეზე იყო დამოკიდებული. ამ წამოწყების მნიშვნელობა და მისი ღირებულება მხოლოდ ქართული სახელოვნებო პოტენციალის საერთაშორისო იმპორტირება როდია, რაც თავისთავად უაღრეს კრედიტაბელურობას მატებს პროექტს, არამედ იგი მის რეალურ პერსპექტივაშია, რადგან ამ წარმოდგენით ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისკენ გზის გაკვალვა და შესაბამისად 30 წლის შემდეგ ქართული თეატრის მსოფლიო ლაშქრობის დაწყება იგეგმება. ეს კი უზარმაზარ პოლიტიკურ დივიდენდს წარმოადგენს ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, — ამბობს ქეთი დოლიძე.

როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა განაცხადა, კინომსახიობთა თეატრის წარმატება სრულიად საქართველოსთვის უდიდესი მონაპოვარია:

— როცა თეატრი ერთი თვე მიდის გასტროლზე ედინბურგის ფესტივალზე და სრული ანშლაგებით მიდის სპექტაკლები, ძალიან დიდი იშვიათობაა. ეს განაპირობა ჩვენი მსახიობების წარმატებულმა მოღვაწეობამ და ვულოცავ მათ ამ წარმატებას.

# სამხატვრო აკადემიის სტუდენტები აქციებს იწყებენ

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ყოველთვის აქცენტი კეთდება იმაზე, რომ უნდა დაამუშავო შენი ხელი, რომ გახდე კარგი ხელოსანი. კარგი ხელოსნობა არ ნიშნავს კარგ ხელოვანს. დაახლოებით 1700 სტუდენტია, აქედან ნახევარზე მეტი ხედავს პრობლემებს, 20 პროცენტია აქტიური, დანარჩენი არააქტიურია, მაგრამ ეს ის კატეგორიაა, ვინც არც დადის ლექციებზე, არც მუშაობს თავის თავზე და იმისთვის სწავლობს აკადემიაში, რომ დიპლომი აიღოს. დაიდო აკადემიის დებულება, სადაც ეწერა, აკადემიის რექტორობის თანამდებობაზე უფლება აქვს მხოლოდ აკადემიის პროფესორს. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არ არის სწორი, რადგან ისევ უწყობს ხელს ჩაკეტილი წრის გაგრძელებას, რომელიც წლებია გრძელდება. სამინისტროებს მივმართეთ წერილით, რომ შესაცვლელია ეს საკითხი დებულებაში და დავაყენეთ ინიციატივა, ჩვენი აზრით ვინ იქნებოდა უმჯობესი აკადემიის რექტორის კანდიდატურაზე. ჩვენ მივმართეთ განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, პრემიერ მინისტრის აპარატსაც, რადგან ჩავთვალეთ, რომ ეს პრობლემა არის სახელმწიფო დონის, სახელმწიფომ უნდა აიღოს ინიციატივა თავის თავზე, რომ აკადემიაში რეალური ცვლილება მოხდეს, რადგან სხვანაირად კულტურის განვითარება არ მოხდება. ჩვენ მივიღეთ წერილი, კულტურის სამინისტრომ იგნორი გაუკეთა სხვა დანარჩენ პუნქტებს და გვიპასუხა მხოლოდ იმაზე, რომ არ აქვს უფლება დაუნიშნოს აკადემიას რექტორი, თუმცა ჩვენ ამისი მაგალითი უკვე გვქონია. განათლების სამინისტრომ ყველაფერი გადაავალა კულტურის სამინისტროს და პრემიერის აპარატმა ყველაფერი გადააბარა განათლების სამინისტროს, ანუ მივდივართ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს სულ არ აინტერესებს, რა მოხდება აკადემიაში, 433 სტუდენტის ხელმოწერით შესულ განცხადებას რეაგირება არ მოყოლია. ამის შემდეგ გავაკეთეთ პეტიციაც, მას 1000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი, იგივე ტექსტით, სადაც ჩამოვაყალიბეთ, რომ არ ვეთანხმებით დებულების რამდენიმე პუნქტს, ეს არის ის, რომ ჯერ უნდა მოხდეს პროფესორების არჩევნები, შემდეგ რექტორის არჩევნები და მასში მხოლოდ აკადემიის პროფესორებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ჩვენ ვთვლით, რომ ჯერ არ უნდა ჩატარდეს პროფესორების არჩევნები, ჯერ უნდა მოხდეს რექტორის არჩევა, თუ გვინდა, რომ ცვლილებები მოხდეს რეალურად. თუ ჯერ პროფესორებს აირჩევს აკადემიური საბჭო, რომელიც წლებია არ იცვლება, შეიძლება წელს ცოტათი გაიზარდა, 5-ის მაგივრად გახდა 10, რეალურად ეს იგივე ადამიანები არიან და იგივე სისტემა ტრიალებს, თუ ჯერ პროფესორებს ავირჩევთ და შემდეგ რექტორს, რექტორს არანაირი ბერკეტი არ ექნება, რომ თავისი ხედვა გაატაროს. ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ, სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ ან ახლა უნდა შეიცვალოს რაღაც ან 4 წელი გაგრძელდება იგივე, რაც დამღუპველი იქნება ქართული კულტურისთვის. ჩვენ სანამ სამინისტროში გავგზავნიდით წერილს, ვხვდებოდით რექტორატს, ადმინისტრაციასაც, მათგან იყო პასუხი, რომ ამის შეცვლის უფლება არ აქვთ და ეს ყველაფერი უნდა გაგვერკვია სამინისტროსთან. სამინისტროსაც მივმართეთ, მაგრამ მათ გვითხრეს, რომ მათ ამის უფლება არ აქვთ და ეს აკადემიის შიდარეგულირების საგანია. გამოდის, რომ წრეზე ვტრიალებთ, არავის არაფერზე პასუხისმგებლობა არ აქვს, როცა ცვლილება აუცილებელია, იმიტომ რომ ეს სასწავლებელი გადარჩეს და თავისი სიკვდილით არ მოკვდეს, ამისთვის სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და გადადგას ქმედითი ნაბიჯები მის გადასარჩენად. ჩვენს უკმაყოფილებას ემატება ისიც, რომ აკადემიაში მმართველ გუნდს არ აქვს ხედვა თუ როგორ უნდა შეიცვალოს ყველაფერი, გვეთანხმებიან ბევრ რამეში, მაგრამ ყოველთვის ამბობენ, რომ არაფრის შესაძლებლობა არ გვაქვს, იმიტომ რომ ეს ყველაფერი მოდის უფრო მაღლიდან, სამინისტროებიდან. ჩვენ შევთავაზეთ ჩვენი კანდიდატურა რექტორის თანამდებობაზე, ეს არის გია ეძგვერაძე, რომელიც 25 წელია საზღვარგარეთ მოღვაწეობს და არის ძალიან წარმატებული ქართველი ხელოვანი, მას აქვს თეორიული ნაშრომები, ბევრი მისი სტატიაა საქართველოში გამოქვეყნებული, ეს არის ადამიანი, ვინც იცის როგორ უნდა წარიმართოს პროცესები, იმისთვის, რომ დაიწყოს ცვლილებები. იმის ილუზია არ გვაქვს, რომ მოვა გია ეძგვერაძე და ყველაფერი კარგად იქნება, პირიქით, ეს იქნება პირველი ნაბიჯი იმისკენ, რომ აკადემიაში დაიწყოს ცვლილებები.

# TV პროგრამა

პარასკევი 5 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 09.30 ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 14.00 "შემოძახილი" 14.30 დ/ფ "არქიტექტურა" 15.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 17.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 22.00 მხ/ფ "**ყოფილი შეყვარებულების აჩრდილები**" (მ.მაკონახი) 23.50 "უცნობი მუსიკა" 01.30 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა"

08.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 11.00 დ/ფ "ლეტიცია და მისი მგლები" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "**კუზიანი**"

08.00 სერ. "**შურისმაძიებელი**". 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**ბედის ანაბარა**". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. "**სილა**". 14.40 სერ. "**სიყვარული, ცა და მიწა**". 17.35 სერ. "**მინდა გახსოვდე**". 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 5 სერ. 20.55 სერ. "**შავი ვარდი**". 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში**". 00.00, 01.00 სერ. "**20 წუთი**". 02.00 მხ/ფ. "**საბილიარდო**" (რ.სანჩესი)

07.00 სერ. "**არ დამივიწყო**" 08.00 მხ/ფ. 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ფორტ ბოიარდი 14.00 ქ.სერ. "**ალუბლების ქუჩა**" 16.00 სერ."**ეზელი**" 18.45 სერ."**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ."**კარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 X - ფაქტორი 23.30 სერ."**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.30 სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

08.00, 15.00 GD Pedia 09.00, 20.00 ერთი-ერთში 11.30 სტილის სამყარო 12.00, 19.00 **სერიალი "ლენა"** 13.00, 16.30, 22.45, 01.05 მხ/ფ 14.45 Song Story 14.50 მინიპედია 16.00 მსოფლიო ზემოდან 18.30 პოპკორნი 03.30 მუსიკა

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.40 მხ/ფ "**ხსოვნა**" II ნაწ. 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "დრო და ტრადიციები" 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.05 მოკ./ფ "**გამსვლელი პაიკი**" 13.30 "თვენი" წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი 14.00 კონცერტი -იყო ხილვის სიხარული - გოგი დოლიძე 15.05 ტელეზღაპარი 15.25 მხ/ფ "**სამოთხის ბვრიტები**" 16.25 დეკორატიული ფლორა 16.40 დიდ ხარ შენ, უფალო 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ჟურნალისტის დღიური" კარბელაშვილების კილო 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**გამარჯობა ყველას**" (ფიროსმანი)

მაესტრო

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20 ფარული კამერა 8.40 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30, 1.40 გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 12.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.05, 20.07 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.10 SV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) (გამ.) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე 1.15 გადაცემა "ID"(გამ.) 2.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


5 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7402

ევრო — 2.2887

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8687

100 რუსული რუბლი — 4.6631

## ამინდის პროგნოზი 5 სექტემბრისთვის






კალეიდოსკოპი

## ქალების ქალაქის მცხოვრებნი საქმროებს ეძებენ



ბრაზილიის ქალაქ ნოივა დუ კორდეირუს მცხოვრებლებმა, რომელსაც მხოლოდ ქალები შეადგენენ, მთელი მსოფლიოს მამაკაცებს მიმართეს წინადადებით, რათა ისინი მათ ქალაქში გადავიდნენ საცხოვრებლად.

ამ დასახლებულ პუნქტში სუსტი სქესის 600-ზე მეტი წარმომადგენელი ცხოვრობს, რომელთა ასაკი 20-დან 35 წლამდეა. მათ რომანტიული ურთიერთობისა და დაქორწინების სურვილი გამოთქვეს. ამის თაობაზე ქალებმა ინფორმაცია პოტენციურ საქმროებს პრესისა და ფეისბუქში ქალაქის ვებ-გვერდის დახმარებით მიაწოდეს და მას ფოტოსურათები დაურთეს.

ნოივა დუ კორდეირუს მცხოვრებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ მხოლოდ უცოლო მამაკაცები აინტერესებთ, რომლებიც მზად არიან მათი ცხოვრების წესი გაიზიარონ, რომელიც ფაქტიურად მატრიარქატულია. ბრაზილიელი ქალები თავად მართავენ თავიანთ ქალაქს და ფერმერულ მეურნეობებს.

ქალაქის ზოგიერთი მცხოვრები გათხოვილია და ბავშვებიც ჰყავთ, მაგრამ მათი მეუღლეები და შვილები სხვა ქალაქებში მუშაობენ და ცხოვრობენ, მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აქვს დასვენების დღეებში იქ ჩასვლის უფლება. ქალაქის გაუთხოვარ მცხოვრებლებს გათხოვილი ქალების შვილებთან დაქორწინების უფლება არ აქვთ, ვინაიდან მრავალი ოჯახი ისედაც დანათესავებულია ერთმანეთთან და მათი შთამომავლები ერთმანეთს ახლო ნათესავებად ერგებიან.

ქალაქის ახალგაზრდა მცხოვრებლებმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ მათ უკვე რამდენიმე წელია მამაკაცისთვის არც კი უკოცნიათ. მათი თქმით, ისინი მამაკაცის შეყვარებასა და გათხოვებაზე ოცნებობენ.

მატრიარქალური ქალაქის მცხოვრებთა მოწოდებას უკვე გამოეხმაურნენ მამაკაცები მთელი მსოფლიოდან. ქალების გაცნობისა და მათზე დაქორწინების სურვილი გამოთქვეს მარტოხელა ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა ბრაზილიიდან, ინდოეთიდან, აშშ-დან, ეგვიპტიდან, არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, ჩინეთიდან, პუერტო-რიკოდან და სხვა მრავალი ქვეყნიდან.

ნოივა დუ კორდეირუ 1891 წელს დააარსა მარია სენიორინეი დე ლიმამ. ქალი იძულებული გახდა ოჯახი მას შემდეგ დაეტოვებინა, როდესაც ის მეუღლის ღალატში დაადანაშაულეს და რომელსაც ის ძალით მიათხოვეს. მას შემდეგ, რაც ლიმა მეუღლეს გაშორდა და ქალების დასახლება დააარსა, ის კათოლიკური ეკლესიიდან მოკვეთეს. ღვთის მსახურებმა ის მეხუთე თაობამდე ანათემას გადასცეს.

## ნორვეგიელ ველოსიპედისტებს სარეცხი საშუალება საკვებში აერიათ

ველოსიპედებით რბოლის მონაწილეები, რომელიც ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს მახლობლად მიმდინარეობდა, სარეცხი საშუალებით ომო აქტივ ენდ სპორტით მოიწამლნენ. სპორტსმენებს სარეცხი საშუალება სპორტულ საკვებში აერიათ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ნივთიერება რბოლის მონაწილეებს სტარტის წინ მწარმოებლებმა პრომოაქციის ფარგლებში დაურიგეს.




ველომრბოლელები საკვებით მოწამვლის ნიშნებით უახლოეს საავადმყოფოში იქნენ გადაყვანილნი, ამ შემთხვევის გამო ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ რბოლა შეეწყვიტათ, ხოლო სარეცხი საშუალების სტენდთან განათავსეს პლაკატი წარწერით, რომ ის საკვებად არ არის გათვალისწინებული.

სარეცხი საშუალების მწარმოებლების თქმით, ამ შემთხვევის შემდეგ ისინი ეტიკეტის დიზაინის შეცვლაზე დაიწყებენ მუშაობას, რათა მომავალში მსგავს შემთხვევას აღარ ჰქონდეს ადგილი. აღნიშნული სარეცხი საშუალება სპორტული ჩასაცმელიდან ჭუჭყისა და ლაქების მოსაშორებლად გამოიყენება.

რბოლის ორგანიზატორების თქმით, სპორტსმენების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ ოსკარზე წარადგინეს

ეკა ირემაშვილი

თუკი ზაზა რეჟისორი ღირსების ორდენზე წარადგინეს, მისი ერთ-ერთი ბოლო და საკმაოდ გახმაურებული ფილმი „მანდარინები“ ოსკარზეა წარდგენილი. ეს გადაწყვეტილება ესტონურმა მხარემ მიიღო, რადგან ფილმი სწორედ ქართულ-ესპანური კოპროდუქციაა.

ესტონეთთან ერთად ოსკარზე უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში უკვე გაგზავნეს ხორვატიამ, სერბეთმა და ფინეთმა. ესტონეთმა გადაწყვიტა ამ ყველაზე ღირსეულ კინოფესტივალზე საქართველოსთან პირველი თანამშრომლობის შედეგი ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ გაეგზავნა. ხორვატიამ არჩევანი შეაჩერა ადგილობრივ ჰიტზე ტომისლავ მრშიჩის კომედიაზე „კოვბოები“, რომელიც პოპულარულ ხორვატულ პიესაზე დაყრდნობითაა გადაღებული. სერბეთმა „ოსკარისთვის“ მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ არსებულ თემატიკაზე გადაღებული ფილმი შეარჩია. ფინეთმა არჩევანი ატმოსფერულ შავ-თეთრ ურბანულ ტრილერზე შეაჩერა, რომლის რეჟისორი პირიო ჰონკასალოა.

რაც შეეხება ქართველი რეჟისორის ფილმს, „მანდარინების“ სიუჟეტი აფხაზეთის ომის ფონზე მიმდინარეობს, თუმცა კადრში ომის სცენები არ არის ასახული. ფილმი ჟანრობრივად დრამაა და აფხაზეთში მცხოვრებ ესტონელებზე მოგვითხრობს. ომის დროს ესტონეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში მცხოვრები თავისი კუთხის



შვილები იქიდან გაიყვანა, მაგრამ რამდენიმე ადამიანი აფხაზეთში თავისი სურვილით დარჩა. სცენარში ერთ-ერთი ესტონელის სახლში მოხვედრილი დაჭრილი ქართველი და ჩეჩენი მეომრის დამოკიდებულებაა ნაჩვენები, ანუ მტრების ერთ სახლში ურთიერთობა. რეჟისორი ზაზა ურუშაძე მაყურებელს დაპირისპირებისა და შერიგების დაძაბულ ამბავს საოცარი ოსტატობით სთავაზობს. ეს პირველი ქართულ-ესტონური ფილმის შექმნის მცდელობაა და არცთუ ურიგო, რომელშიც ქართველ მსახიობებთან ერთად, ესტონელებიც შესანიშნავად თამაშობენ.

ზაზა ურუშაძემ „მანდარინებზე“ მუშაობა 2012 წელს გურიაში დაიწყო. ფილმმა ეროვნული კინოცენტრისა და ევრიმაჟის დაფინანსება მოიპოვა. როგორც რეჟისორი ამბობს, მისთვის ეს დიდი პატივია, თუმცა საკონკურსო პროგრამაში მოსახვედრად ახლა მთავარია 16 საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულმა ფილმმა კინოაკადემიის შესარჩევი კონკურსი გაიაროს.

როგორც რეჟისორი ამბობს, თვითონ ფაქტი ძალიან კარგია, მაგრამ წარმატებაზე საუბარი ჯერ ადრეა:

— ძალიან რთულია, რომ ფილმმა გაიაროს ეს ურთულესი შესარჩევი პროცედურა, ძალიან რთულია გახვიდე და მოხვდე ნებისმიერ ნომინაციაში „ოსკარზე“. „მანდარინებს“ ამის შანსი ასე თუ ისე აქვს, რადგან ფილმი საკმაოდ გახმაურებულია და არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია, — აცხადებს ზაზა ურუშაძე.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ზაზა ურუშაძის ფილმი ოსკარზეა წარდგენილი. წლების წინ მისი კიდევ ერთი ფილმი „აქ თენდება“ „ოსკარზე“ იყო წარდგენილი.

„ოსკარი“ ქვეყნებიდან ნომინირებულ ფილმებს პირველ ოქტომბრამდე მიიღებს. პარასკევს გახდება ცნობილი, რომელ ქართულ ფილმს წარადგენს საქართველო „ოსკარზე“, თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ ორი ქართული ფილმი აღმოჩნდება სანომინაციო სიაში, შემდეგ დასახელდება 9-კაციანი სია და ბოლოს 5-კაციანი სია. ნომინანტები 2015 წლის 15 იანვარს დასახელდებიან, ამერიკული კინოაკადემიის ყოველწლიური დაჯილდოება კი 22 თებერვალს ჰოლივუდში, დოლბი თეატრში ჩატარდება.

## ქეთი დოლიძე: „ქართულ თეატრს ასეთი წარმატება არ მოუპოვებია“




ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი ედინბურგის ფესტივალიდან დაბრუნდა. მოპოვებულ წარმატებაზე თეატრის ხელმძღვანელობამ და დასმა კულტურის სამინისტროში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და მიღწეულ წარმატებასა და აღიარებაზე ისაუბრა.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე, თეატრის დირექტორი ზურაბ გეწაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი და კინომსახიობთა თეატრის მსახიობები.

– 31 ივლისიდან 25 აგვისტომდე, ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრმა, წარმოადგინა სპექტაკლი ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“. სპექტაკლმა და თეატრის დასმა აღიარება მოიპოვა, როგორც პროფესიონალი კრიტიკოსებისგან, ასევე მაყურებლისგან. წამყვანმა ბრიტანულმა გაზეთმა „სთეიჯ“ თუმანიშვილის თეატრალურ დასს „სამსახიობო ხელოვნებისთვის“ ჯილდო გადასცა. ძალიან დიდი ხნის მანძილზე ქართულ თეატრს ასეთი ჯილდო არ მოუპოვებია. ედინბურგში, სადაც 2000 სპექტაკლი თამაშდება, საუკეთესო დასის აღიარება, სტეიჯის ჯილდო სა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

— აბა, გივი, მიპასუხე, შენ გაქვს ექვსი ვაშლი. თუ ნახევარს შენს ძმას მისცემ, შენ რამდენი დაგრჩება?

— ხუთ-ნახევარი!

●●●

კონკია პრინცს ეუბნება:

— ფეხსაცმელი მომერგო და ქორწილი როდის გვექნება?

— ეს ნახევარფინალი იყო, ახლა ბიუსტჰალტერი უნდა მოგაზომო... — უპასუხა პრინცმა.

●●●

ქალი მაღაზიაში იატაკის საფენს არჩევს და გამყიდველს ეუბნება:

— მე რაიმე პრაქტიკული მჭირდება ბავშვების ოთახისთვის.

— რამდენი ბავშვი გყავთ?

— ექვსი...

— ასეთ შემთხვევაში უფრო პრაქტიკული იქნება, თუ ოთახში ასფალტს დააგებთ.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

— იცი, შენზე ჭკუას ვკარგავ...

— შენ ისედაც არ გაქვს ჭკუა, მე რა შუაში ვარ, — პასუხობს გოგონა.

●●●

ყმაწვილი საავადმყოფოში მოხვდა ფეხის მოტეხილობით, მკლავის ამოვარდნითა და გატეხილი ყბით. ექიმი ეკითხება:

— ავარიაში მოყევით?

— არა, კარადაში ცხვირი დავაცემინე....

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— აბა, თუ მეტყვი, რომელი უფრო დაკმაყოფილებულია, ის, რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს თუ ის, რომელსაც ექვსი მილიონი დოლარი აქვს?

— ის, რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს!

— რატომ?

— რომელსაც ექვსი მილიონი აქვს, კიდევ უნდა!

●●●

მიხო და მარო ეკლესიაში ჯვარს იწერენ. მღვდელი ამბობს:

— ჯვარს იწერენ მონა ღვთისა მიხო და ღვთის რისხვა მარო...

●●●

პატარა მიხო მამასთან მივიდა და ეკითხება:

— მამი, მამი, ქიშმიშს ფეხები აქვს?

— კიდევ ტარაკანა შეჭამე, შე შობელძაღლო?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 2. შემწე, მფარველი ადამიანი; 3. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 5. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 6. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდზე, ფულზე; 8. რაინდული ქცევისა და ბუნების მქონე მამაკაცი ძველ თბილისში; 10. მუდმივი მყიდველი, შემკვეთი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. შალის ქსოვილების მავნებელი პეპელა; 15. ქართველი დირიჟორი; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 1. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 4. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 7. მდინარე ზუგდიდში; 9. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 11. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. ღვინის სპირტი; 13. მზაკვარი, მუხანათი ადამიანი; 17. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. შხამიანი აფრიკული ბუზი; 19. ფრანგული არაყი; 20. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ასტროპროგნოზი 5 სექტემბრისთვის

**ვერძი** — მშვენიერი დღეა, გახარებული ხართ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — თქვენი საქმე წინ მიდის, უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე. **სასწორი** — სახლში კარგი ამბავია, შენაძენი გელით. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — რისკი არ არის გამართლებული, თავი შეიკავეთ ექსპერიმენტებისაგან. **თხის რქა** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, ასე განაგრძეთ. **მერწყული** — ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს, განტვირთვის დღე არ გაწყენთ. **თევზები** — მშვიდად იმოქმედეთ, მაინც ყველაფერს მოასწრებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!